№ III.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

ჟურნალ „ჯეჯილისა“:

I. გიორგი წერეთლის დაკრძალვა — ლექსი განდეგილისა . 3
II. მზრუნავი დედა (ფრანგულიდან) 5
III. მოტი-გეჯის აჯანყება — თარგმ. ივ. მ—ანისა . . . 7
IV. პატარას (გადმოკეთებული) ლექსი შ. მდვიმელისა . . 21
V. ვანო და ჩიტი — იაკობ გოგებაშვილისა 22
VI. ფოფოს მასწავლებელი (პოლონიურიდან) ს. ყუმისთაველისა 25
VII. მეურმე და მდინარე (იგავი) — ი. ს.-სი. 30
VIII. ჩვენი გაზაფხულის სტუმრები — იდიკოსი 32
IX. პატარა მეცნიერნი — მ. დუმურიასი 33
X. მარტი — ლექსი დ. თომაშვილისა 43
XI. ჰაერში ფრენა (ჰაეროსნავტიკა) III — იდიკოსი . . . 46
XII. მელო და ჯიბლიბო — იაკობ გოგებაშვილისა 51
XIII. ფოსტის მარკები — ს. ნა—დისა 57
XIV. პატარა მკითხველების წერილები 59
XV. წვრილმანი: ხალხური ლექსები, ანდაზები, გამოცანები, ლოგოგრიფი, არითმეტიკული ამოცანა, შარადა, რებუსი და ახსნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯეჯილები

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაჰურდი, გახდი ყანაო!..
ი. დ.

9211

№ III.

წელიწადი მეთერთმეტე

თბილისი
სტამბა ექვთ. ივ. ხელაძისა. Тип. Еф. Ив. Хеладзе.
1900

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3-го Марта 1900 г.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი წერეთლის

დაკრძალვაზე.

იდუბევ, ძველო ტაძარო,
სავანევ გმირთა გმირისა!
აჭა მოგიძღვენთ ცხედარი
მოღვაწე ღვიძლი შვილისა.

შენ მიიბარე უძლური,
მქონე ბევრგვარი წყლულისა;
დღეიდან შენ სარ მფარველი
ქვეყნის მოყვარულ გულისა...

მოგვიკვდა მოძმე, მუშაკი,
მოყვარე თავის ერისა,
საერთო გლოვამ შესწევიტა
წკრიალი სიმთა ჟღერისა.

„ბერ მეწისქვილეს“ კერასთან
ცრემლი სდის შეუშრობელი;
„ლომ-კაცი“ მაძით მოსილა,
მამა მოუკვდა მშობელი.

„რაში“ ტორებს ჰერის, ხვიხვინებს,
ჰატრონს შესჩივის რაღაცას...

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მზეთ-უნახავი“ ცრემლით რწყავს
მირს დედამიწას, მაღლა ცას.
„მამიდა ასმათს“, თმა-გაშლილს,
სისხლის ცრემლები სდენია;
შორს „კიკოლიკაც“*) ქვითინებს
ცლოვა ვერ დაუთმენია.
სარით მოთქვამენ მუშაკსა
თავისი ღვიძლი შვილები,
მისი სისხლ-ხორცით ნასარდნი,
მასთან ჭირ-გამოვლილები...
აწ შენ გაბარებთ, დიდუბევ,
შრომისგან დაღალულია,
შენ ეაკვანე სნეულსა,
მეცლი კი—ჩვენი გულია.

განდეგილი.

*) ბრჭყალებში ჩასმული სახელები არის განსვენებული გ. წერეთლის მოთხრობების გმირები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზრუნავი დედა

(ფრანგულიდან)

— კრრრუუ! კრრრუუ! კრრრუუ! დ:ჩქარდით, შვილებო, ცა მოიღუშა, გაავდარდება, შეგიდეთ ჩვენს საქათმეში, სანამ არ უწვიმნია.— ეუბნებოდა კრუსი თავის წიწილებს.

ავდრის მოლოდინმა დედაძიწიდან გაბოიწვია მრავალი ჭიაღუა და სხვა და სხვა მწერები.

გაუმაძღარ წიწილებისთვის სწორეთ აღდგომაა მწერების შოვნა. არც უყვართ დედის დარიგება. ცელქები ეცემიან აქეთ-იქით, რომ სასუსნავი რამე მონახონ, ჰირი დაისველონ.

ერთბაშათ წამოვიდა საშინელი წვიმა.

რადა ეშველება საცოდავ ფუნჩულა წიწილებს ამ შხაპუნა წვიმაში! ახლა კარგი იქნებოდა, რომ თავშესაფარი ეშოვათ!

უსათუოთ დედა-კრუსი არ დაასვენებინებს წვიმას თავის წიწილებს, უშოვის მათ თავშესაფარს. აი, გახსნა კრუხმა ქოლგასავით თავისი ფრთები და მის ქვეშ მოიყარეს თავი ცელქმა წიწილებმა და ისე შვენიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რათ დაფარული იყვენ, თითქოს საქათმეში არიანო. მარცვალი წიწილები არ დარჩენილან გარეთ ამ თავსხმაში!

ციცუნიაც იქვე დასეირნობდა და წვიმამ მოუსწრო. რა ექნა! სად შეეფარებინა თავი, რომ არც ის დასველებულიყო!

სადა და დედა-კრუხის ქოლგას ქვეშ.



შეუპოვარი ციცუნია ამოუჯდა კრუსს ფრთებ ქვეშ, წიწილებთან ერთათ.

— რა თბილათ და შვენივრათ მოვიკუნტე აქ,—ამბობდა ციცუნია,—დედაჩემთანაც არ ვიქნებოდი ასე კარგათ.

კრუხმა, კარგათ იცოდა, რომ ციცუნიამ მის ფრთებ ქვეშ შეაფარა თავი, მაგრამ დედობრიული ზრუნვა არც მას მოაკლო—გაშალა ისე ფართოთ ფრთები, რომ ციცუნიას არ მიჰკარებოდა არც ერთი წვეთი წვიმისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოტი გეჯის აჯანყება

(მოთხრობა კიპლინგისა)

ნდოეთში ერთმა მეძამულემ ახოს გატეხა მოინდომა, რომ ყავის მოსაყვანათ უფრო მეტი სახნავი ჰქონოდა. მოსწრა ხეები, აჩეხა ბუჩქნარი, მაგრამ საქმე დიდრონ ხეების ფესვების ამოგდება იყო. თოფის წამალი რომ ესმარა, მვირათ დაჯდებოდა; ცეცხლით—ძალიან დაგვიანდებოდა. ბევრი ფიქრის შემდეგ სჰილო ირჩია—თავის ორი კბილით მიწას მოუთხრის და მერე ჯაჰანს შეავბამო; რა უნდა იყოს ისეთი, რომ სჰილომ ვერ ამოგლიჯოსო? დაიჭირა რამდენიმე კაცი თავიანთ სჰილოებით. უველაზე კარგი სჰილო ერთ უვარგისს, წუწკ მოგუტსა ჰქავდა. მოგუტი იგივეა, რაც ჩვენი მეურმე, ოღონდ მეურმე ურემზე ზის და ხარკამეჩს სახრით ერეკება, და მოგუტი კი სჰილოს ზედ კისერზე აზის და რკინის ჩაქუჩითა სცემს საწუალ ოთხფეხს.

იმ სჰილოს სახელი იყო მოტი-გეჯი, ესე იგი სჰილოთა შორის ფირუზი. თითონაც კარგი იყო და სახელიც კარგი ერქვა. კიდევ კარგი, რომ იმ დროს ინდოეთში ინგლისელები იყვენ და იძახდენ: რაც შენია, ვერავინ წაგართმევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სო! თორემ უწინდელი ინდოეთის კანონები რომ ყოფილიყო, ვინ შეარჩენდა ერთ უბრალო მუშას იმისთანა ძვირფას სპილოს? წაართმევდენ და ბევრსაც უთაქებდენ, რა შენი საქმეა, შე წუწკო, შენა, ეს სპილო დიდკაცს უნდა ჰყავდესო!

წუწკი კაცი იყო დიზა, სპილოს პატრონი, ლოთი, დაუდევარი, ქარაფშუტა! მოტიყეკი რომ არა ჰყოლოდა, შიმშილით მოკვდებოდა. ამუშავებდა თავის სპილოს, დიდძალ ფულს შოვობდა, დაითვრებოდა და მოტიყეკს ზედ წინა ფეხის ფჩხილებზე სცემდა ხოლმე რკინის ღერძით. ამაზე მოტიყეკი არა ჯავრობდა, თორემ ცალი ფეხით გასრესდა თავის პატრონს. არა ჯავრობდა, რადგან იცოდა დიზას ხასიათი: სცემდა, სცემდა, მერე ტირილს დაიწყებდა, ხორთუმს დაუკოცნიდა და თან უალერსებდა: ჩემო საყვარელო, ჩემო სიცოცხლევ, ჩემო სულის სინათლეო და არაფასც კი დაალევინებდა; მოტიყეკი ხომ გაგიჟებული იყო არაფისთვის. ამ ალერსს შემდეგ დიზა იქვე სპილოს წინა ფეხების შუა მიეგდებოდა და ხვრინვას მოჰყვებოდა. მოტიყეკს ძალიან უყვარდა ზედ შარა გზაზე ძილი და რადგან თავის პატრონის შეწუხებას და გაღვიძებას არავის აპატივებდა, სხვირათ შეუყენებია ურმები: იდგნენ და ელოდენ, როდის ინებებს დიზა გაღვიძებას, რომ სპილომ გზა მოგვცესო.

მაგრამ ძილი ვიდას ასსოვდა—გაჩქარებული მუშაო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა იყო. საქმე დიასას ნარდათ ჭქონდა აღებული და დენსაც ჯირკვს ამოაგდებდა, იმდენი ფული ერგებოდა. ისიც მთელ დღეს იჯდა გამოჭიმული მოტი-გეჯის კისერზე და სცემდა რკინის ჩაქუჩს, გათხარე, გათხარეო! მერე ჭაჭანს შეაბამდა და—გასწიო! თან ფეხებით სცემდა შიგ საფეთქელში და უმეორდა—აი, შე სპილოთა მეფევ, შენაო! საღამოზე შვიდ ფუთ ნახევარ მწვანე ბალახს და ნახევარ თუნგ არაყს მიართმევდა. მართალია, უმეტეს ნაწილს თითონვე დალევდა ხოლმე, მაგრამ რა გაეწყობოდა. კვირაში ერთხელ წყალზე წაიყვანდა, აბანებდა და აგურის ნატეხებით ხეხდა. დიასა რომ აგურებს ერთმანეთს შემოჰკრავდა, მოტი-გეჯმა იცოდა—ახლა კი უნდა გადავბრუნდეო—და, მართლაც, მაშინვე მეორე გვერდს აუშვერდა ხოლმე. აბანოს შემდეგ დიასა ფეხებს დაუშინჯავდა, ჰირს, თვალებს, დიდრონ ყურებს გადმოუბრუნებდა და გაუსუფთავებდა. მერე ორივე კმაყოფილნი მიბრძანდებოდენ შინისკენ. გიშერივით შავი მოტი-გეჯი სულ ლაპლაპებდა ხოლმე; აბანოს შემდეგ, თითქო ადუღებულ წყალში აბანესო, უთუოდ მარაოს დაიჭერდა ხორთუმში; უშველებელ ტოტს მოსტეხდა და იქნევდა გაჩქარებით. დიასა უკან მისდევდა სიმღერით: „ღვივით მოვალთ, მოგვისარიანო“ და თან თავის გმელ, სველ თმას იწნავდა.

ერთი სიტყვით, ტკბილათ, მშვიდობიანათ ცხოვრებდენ ორივენი და კარგ ფულსაც იღებდენ. მაგრამ აკი გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უწურა დიზას ღმერთი და თავისი მწურები აეშალნენ!.. და-თრობა მოუნდა! მერე როგორი დათრობა? ერთხელ, ან ორჯერ სომ არ უნდოდა დამთვრალიყო... იკადრებდა? სანგრძლივი ლოთობა მოინდომა. მივიდა მემამულესთან და ცხარი ცრემლით შესტირა: ცოტა სნით შინ გიახლები, ცოლი მომკვდომიაო.

— რამდენჯერ უნდა მოგიკვდეს ცოლი?!—შეუტია მემამულემ —შარშან ჩიოდი ცოლი მომიკვდაო, წელს, მკის დროს, კიდევ მაგას გაიძახოდი. რითი ვერ მოკვდა და ვერ გაათავა?

— ცოლი კი არა, ბატონო, სევდამ ისე გადამრია, ვეღარა გამიგია-რა, დედიდა მომიკვდა. დედიდა, რომელმაც დედობა გამიწია, შვილივით გამზარდა იმ საწყალმა— გადაასხვაფერა დიზამ და უფრო მწარეთ დაიწყო ტირილი.

მემამულემ კარგათ იცოდა ინდოელების სასიათი და არ დაუჯერა. დიზა კი თავისას გაიძახოდა:

— დედიდა მომიკვდა, მე უბედურსა! თვრამეტი სული შვილი დარჩა, ობლები, ოხრები! სულ მუძუ-მწოვრები! ვინა ჰყავთ ჩემს მეტი კეთილის მოფი! მე უნდა ვაცხოვრო იმოდენა ოჯახი.

— ვინ მოგიტანა ეგ ამბავი?—შეეკითხა მემამულე.

— წერილი მივიღე.

— სტყუი, ერთი კვირაა, რაც ფოსტა არ მოსულა.

— ჩვენ სოფელში ციებ-ცხელება მძვინვარებს, ბატო-

ნო, ჩემი ნათესავები სულ დახოცილან,— მოსთქვამდა მწარედ დიზა და თავს სცემდა იატაკზე, იქნება უფრო შემიბრალოს და წასვლის ნება მომცესო.

— გაჩუმდი, შე ცრუვ, შენა! გასწი, იმუშავე!

დიზა ისევ ისე მოსთქვამდა.

— შეიხუნს დამიძახეთ,—ბრძანა მემამულემ,—ჩქარა! შეიხუნი თქვენებურია, ის იტყვის, თუ მართლა მოგკდომია ვინმე.—შეიხუნ, ამ კაცს ცოლი ჰყავს?

შეიხუნმა ჩაიცინა.—არა, ბატონო, არა ჰყავს! ან ვინ იქნება ისეთი უბედური, რომ მაგას მისთხოვდეს? მაგის სჯილოს შეირთავდენ ჩვენი ქალები და მაგას კი არა.— ხუმრობდა შეიხუნი.

ეს მასხარობა ძლიერ ეწყინა ჩვენს დიზას და თითქო განგება შეეწიაო, უცბათ წარმოსთქვა:

-— არა, ბატონო, ახლა კი ჭეშმარიტ სიმართლეს მოგახსენებ. ორი თვეა, ორი დიდი, გმელი თვე, რაც ალარ დავმთვრალვარ. ვთხოვ ცოტა ხანი მიბოძო, აქედან წავიდე სადმე, რომ შენს ოჯახთ ბედნიერ თვალს მივეფარო სადმე და ნასვამმა შენ არ შეგაწუხო.

მემამულეს ღიმილი მოუვიდა.

— შენს სიცოცხლეში ეგ ჰირველათ მოგდის, მგონი, მართლის ლაპარაკი, დიზა. ახლავე გაგისტუმრებდი, მაგრამ უშენოთ შენ სჯილოს ვინ დაიმორჩილებს? თუ არ შენ, სხვას არავის გაუგონებს.

— ოო! იცოცხლოს ჩემმა ცის მანათობელმა ბატონმა სამას სამოცდა სამი ათას წელიწადს!—შეჰღვირა დიზამ. სულ ათი დღით წავალ, სულ ათი დღით, ვფიცავ ჩემ რჯულს, სულს და სინიდისს. ამ ათს დღეში... მაგრამ ჩემი ბატონი ნებას მომცემს, მოტი-გეჯი აქ მოვიხმო?

— დაუმახე.

დიზამ ერთი გაჰკივლა და ამ ხმაზე უცრათ გაჩნდა მოტი-გეჯი. თურმე იქვე ჩრდილოში განისვენებდა, ესე იგი ხორთუმით ამტვერებდა იქაურობას, ერთი კორიანტელი დაეუნებინა და თავისებურათ სტკბებოდა.

— სინათლეც ჩემი გულისა, ლოთთა მფარველო, მთაო უმრაო.—მიეალერსა დიზა—აქ მიბოძე შენი ყური.

მოტი-გეჯმა ყური აიწია და ხორთუმით ლამაზათ დაჰკოცნა თავის ბატრონი.

— მე მივდივარ,— უთხრა დიზამ.

მოტი-გეჯის თვალებმა სიხარულით სულ ელვარება დაიწყეს. იმასაც უყვარდა თავის ბატრონივით გზა და გზა ხეტიალი და მინდვრებში სეირნობა: რამდენ ტკბილ ლუკმით ჩაიკოკლოზინავებდა ხირსა!

— მე მივდივარ, მაგრამ შენ, შე მკვდარო ღორო, შენა, შენ აქ დარჩები და იმუშავებ!

მოტი-გეჯი ცდილობდა კმაყოფილება ეჩვენებინა თავის ბატრონისთვის, მაგრამ თვალებში ის სიხარულის ალი კი აღარ ეტყობოდა: ჭირივით ეჯავრებოდა ფესვების ამოგდება, კბილებს უფუჭებდა, სხვა რომ არა იყოს-რა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სულ ათი დღით მიგდივარ, ჩემო გულის ნეტარებავ, გეეურება, ათი დღით! მოიტა შენი მარჯვენა ტატუი, შე მერაზ გუბის ჯოჯო, შენა! მოიტა, რომ ათი დაგითვალო.

დიზამ აიღო რკინის ნატეხი და ათჯერ ჩაჭრა ფჩხილებში.

კვნესოდა საწყალი მოტი-გეჯი.

— ათ დღეს იმუშავებ, შეისუნს უგელაფერს აუსრულებ! ეგ იქნება შენი მოგუტი. აბა, შეისვი კისერზე.

მოტი-გეჯმა ხორთუმი გაუწოდა და შეისუნი შეისვა კისერზე. დიზამ ჩაქუჩი მიაწოდა და შეისუნმაც, რაც კი ძალა ჰქონდა, ჩაჰკრა თავში, იცოდე ჩემი ძალაო!

სჰილოამ ბღავილი მოართო.

— ჩუმათ, შეტეის დათვო, შენა! ათი დღე შეისუნი იქნება შენი ბატონი. და ახლა კი, მშვიდობით, ჩემო სახიზღარო საუვარელო, შენ ნაზ აგებულებას გაუფთხილდი და ეური უგდე შეისუნს, ჩემო ხელმწიფევ. მშვიდობით ჩემო სულის ნარგიზო!

მოტი-გეჯი მოესვია დიზას თავის ხორთუმით და ხმა-ვერ სევით ასწია; ეს გახლდათ გამოთხოვების სვევნა-კოცნა.

— ახლა კი კარგათ იმუშავებს, ბატონო. შეიძლება წავიდე?

მემამულემ დასტური დასცა და დიზა გაჰქრა იქვე ბუჩქებში. მოტი-გეჯი მაშინვე სამუშაოთ წავიდა.

შეიხუნი კარგათ, ლმობიერათ ეკიდებოდა, მაგრამ მოტი-გეჯის გული მაინც ვერ მოიგო და ვერ გაამხიარულა. სჰილოს თავის თავი უბედურათ, დაობლებულათ მიაჩნდა. სუნნელოვან ბალახსაც აჭმევდა იმას შეიხუნი, ნიკაჰსაც უფხანდა; იმის ცოლი ხომ სულ ჩემო საყვარელო, უძახდა სოლმე, და მაინც ის ისევ მორჩილი, მაგრამ გულ-მოკლული დაიარებოდა. შეიხუნის ჰატარა ვაჟიშვილი სალამოობით სულ მოტი-გეჯს ეთამაშებოდა, ისიც აჭმევებოდა სოლმე, მაგრამ ეტუობოდა კი, რომ რაღაც აკლდა. იმას თავის ლოთი ჰატრონი აკლდა, თავის ცემა-ტუქით და ალერსით, თავის ძილით და გინებით; სჰილოს თავისი ჰატრონი უყვარდა და იყო გულ-ჩათუთქული. მუშაობით კი ისე გულ-მოდგინეთ მუშაობდა, რომ უველა გაკვირვებული იყო.

ამ დროს დიზა დაეხეტებოდა აქეთ-იქით და ბოლოს ნაცნობ სალხს შეხვდა, ისიც ქორწილის დროს. სიმხიარულეში, ცეკვაში და ლოთობაში რაღა დღეებს დასთვლიდა? მეთერთმეტე დღე გათენდა და დიზა კი არსად იყო.

მოტი-გეჯი აუშვეს, რომ სამუშაოთ გასულიყო. გამოვიდა, აქეთ-იქით მიიხედა და თითქო რაღაც მიზანი ჰქონდესო, წავიდა თავისთვის, სამუშაო ალაგს ზურგი შეაქცია.

— სად მიხვალ?—უყვიროდა შეიხუნი.—აქ მოდი, აქა! მოდი, შემისვი კისერზე, შე სიზარმაცის მთავ, შენა! დადექ-მეთქი, არ გეყურება? დადექ, შე ინდოეთის თვალო, თორემ სულ თითო-თითოთ ამოგაგლეჯ ფჩხილებს მაგ მსუქან ფეხებიდან!

მოტი-გეჯმა რაღაცა წაიდრუტუნა, და კი არ შესდგა. შეიხუნი დაეწია, უნდოდა გაეთოკნა, მაგრამ სჰილომ ეურები აძართა. ეს გაბრაზების ნიშანი იყო. შეიხუნმა არათ ჩააგდო და უფრო სასტიკათ შეუტია:

— მე მაგითი ვერ შემაშინებ! ვითომ ვინა გვონივარ! წადი, ჩქარა წადი სამუშაოთ, შე ტარტაროზების მანქანავ, შენა!

ამის ჰასუხათ მოტი-გეჯმა ერთი ძალიან შეჰყვირა და ეურები უფრო აეშალენ. ეს საკმარისი იყო შეიხუნისთვის, რომ თავი დაენებებინა. დაიწყო მოტი-გეჯმა არხეინათ სეირნობა, ხან აქეთ და ხან იქით, თანაც უშველებელი ტოტი მოსტეხა და კბილების ჩიჩქნა დაიწყო. დასეირნობდა, ხან ერთ სჰილოს მიადგებოდა, ხან მეორეს და უეურებდა იმათ მუშაობას.

შეიხუნმა ეს ამბავი მემამულეს შეატყობინა. ის გაბრაზებული, საშინელი შოლტის ტკაცუნით გამოვარდა კარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე. ამ სმაზე მოტი-გეჯმა საშინელი შეურაცხყოფა მიაყენა მნო და გაათრებული გაიქცა ჰირდაჰირ თავის მტრისაკენ. ის სახლში შევარდა და სჰილო ბალკონთან შედგა, ხორთუმი ზედ ბალკონზე შესდვა და ერთი ძალიან შეჰქვირა.

აჯანყება მეტი გნებავთ?

— მე გიჩვენებ ყვირილი როგორ უნდა, — ბრაზობდა მემამულე. ისეთი მათრახი მოგარტყა, რომ იმისთანა ჯერ სჰილოს არსად მოსვედროდეს. დამაცადე, შე ზარმაცო, შენა! და უბრძანა: შავ-გველას და ნეზიმს ჯაჭვები მიეცით და ოცოცჯერ დაჰკრან მოტი-გეჯსაო.

ორივე, შავ-გველაც და ნეზიმიც, უშველებელი სჰილოები იყვნენ და იმათი თანამდებობა იყო, სხვა საქმეების გარდა, დამნაშავე სჰილოების დასჯაც. თუ კი სჰილო გაკერჰდება და მუშაობას არ მოინდომებს, იმას ადამიანი ვეღარ აჯობებს და ამისთანა დამნაშავე სჰილოს საგანგებოთ ამისთვის დაგეშილი სჰილოების საშუალებითვე სჯიან ხოლმე. დაიჭირეს ხორთუმით ჯაჭვები — ეს გახლავთ სჰილოების მათრახი — და ორივე მოტი-გეჯისკენ გაემართენ. ერთმა აქეთ მოუარა, მეორემ იქით. მოტი-გეჯს ისე გაეტარებინა თავის დღენი, — სრული ოცდა-ცხრამეტი წლისა იყო — რომ აქამდის იმისთვის სასჯელი არავის უკადრებია. დიზა რომ სცემდა, ის სიმთვრალით და სიყვარულით მოსდიოდა. ახლაც ეტყობოდა ეს ჯაჭვებით ცემა სრულიადაც

არა ნებავდა. იდგა და დინჯათ მოელოდა მტრებს, თან ეროვნული ბიბლიოთეკა თვალს ადევნებდა ორიევს და შავ-გველას ფერდებში ალაგს ეძებდა, რომ თავის გძელ კბილებზე აეგო. შავ-გველას კბილები არა ჰქონდა და, თუმცა ჯაჭვი დიდი უფლების ნიშანი იყო, აჯანყებულთან ახლო რომ მიეიდა, უცბათ შეიცვალა აზრი და გზა აუქცია, თანაც ისეთი სახე მიიღო, თითქო სასეირნოთ გამოსულა და ჯაჭვი მხოლოთ სათამაშოთ გამოუტანიაო. ნეზიმი? ის დიდი სანია შინისკენ გაბრუნდა, რადგან იმ დილას როგორღაც გუნებაზე არ იყო, მეტადრე კრივის გუნებაზე. მოტი-გეჯი მარტო დარჩა თავის აშლილი უურებით.

მემამულემ სხვა ვეღარა მოახერხა რა. ან რას იზამდა? ვინ დაიმორჩილებს გაკერპებულ, აშვებულ სპილოს, როდესაც ორ დაგეშილ სპილოსაც ვერა გაუწევია რა ამ აჯანყებულთან?

დაიწყო მოტი-გეჯმა სეირნობა სამუშაო ადგილზე, თითქოს შინჯავს და იკვლევს იქაურობასაო. სხვა სპილოები კი გაჩქარებით მუშაობდენ. ისიც ხან ერთთან მიეიდოდა, ხან მეორესთან, მეგობრულათ დაადებდა მხარზე თავის ხორთუმს და ჰკითხავდა: ადვილია ფესვების ამოგლეჯაო? და თან რაღასაც ჩასჩიჩინებდა, რაღაცა თავისებურ სიტყვებს: ულმერთონი არიან ეს ადამიანები, რომ ამდენს გვამუშავებენო! ჩვენ, სპილოებს, უფლება გვაქვს შუადღისას მეტი ხანი დავისვენოთ ხოლმეო! დადიოდა წინ

და უკან და სულ ამგვარ აზრებს ქადაგებდა, სულ გარჯნა, გადარია იქ მომუშავე სვილოები. ბოლოს, როგორც იყო, მზე ჩავიდა და ისიც ბინაზე წავიდა ხურის საჭმელათ.

— თუ მუშაობა არ გინდოდა, ჭამაც არ უნდა გინდოდეს,—შეუტია შეისუნმა.—შენ გარეული, გაუზდელი მხეცი ყოფილხარ! აქ რა გინდა? შენი ალაგი ტყეშია, წადი და იქ იყავ შენ ველურ ამხანაგებთან.

შეისუნის ხატარა ბიჭი იქვე იატაკზე ცოცავდა. მოტი-გეჯმა, თითქო იცოდა, რომ ეს ბალღი შეისუნს მთელ ქვეყანათ უღირდა, გაუწოდა ხატარას თავისი ხორთუმი, იმასაც სიხარულით სვილოსკენ მიიწია და უცბათ დააგლო მოტი-გეჯმა თავისი ხორთუმი და რაც შეეძლო მაღლა ასწია; რომ დაენარცხებინა, იქვე სულს გააყრევინებდა.

— ვაიმე,—შეჰკივირა შეისუნმა,—მოტი-გეჯ... თორმეტ ისეთ ქადას მოგართმევ, რომ თითო—ფუთზე მეტი იყოს; სულ რომში ამოგივლებ. ხუთ ფუთს შაქრის ლერწამს მოგართმევ, ოღონდ ეგ ბიჭი, ეგ ჩემი იმედი და დამტირებელი ისევ ძირს დაუშვი.

მოტი-გეჯმა ფთხილათ დაუშვა ბავშვი და თავის წინა ფეხებ შუა ჩაიდო. გასრისავდა, რომ მოენდომებინა. ჰკავდა ისე და ელოდა დაბირებულ შაქრის ლერწამს და ქადებს რომით. შეისუნმა მაშინვე მოუტანა დაბირებული და სვილომაც უნებლათ მისცა თავისი ხატარა.

ეძინა იმ დამეს მოტი-გეჯს და სიზმარში სულ დიზას

ეროვნული ბიბლიოთეკა

სედავდა. საინტერესოა სჰილოს მილი: ამ უზარმაზარ სჰილოს უფრო ნაკლები სძინავს, ვიდრე სხვა რომელსამე სულდგმულს; რაც უნდა დაღალულ-დაქანცული იყოს, მაინც 4—5 საათზე მეტს ვერ დაიძინებს. ორი საათი შუადამემდის სძინავს და ორიც მას შემდეგ, როდესაც მეორე გვერდზე გადაბრუნდება. დანარჩენ დროს, ღამე, სჰილო სჭამს, მოუსვენრათ დაეხეტება სან აქეთ და სან იქით, და თავისთვის რაღასაც ბურტყუნებს.

შუადამისას მოტი-გეჯს საშინელმა აზრმა გაურბინა— იქნება ჩემი ჰატრონი მთვრალია და ტყეში მიგდებულა სადმე უნუგეშოთ, უჰატრონოთაო! ეს ფიქრი და გარეთ გავარდნა ერთი იყო. მთელი ღამე იარა დაბურულ ტყეში და სშირ ბუჩქნარში; ძლივსღა სუნთქავდა დაღალული და ისე ქშინავდა, რომ იქვე ტყეში მყოფ ბოშებს შეშინებოდათ— ეს რა საშინელი ქარი ამოვარდაო! დადიოდა და გაჭვირდა, იქნება სმა გაიგოს და დამიძახოსო. წუალზედაც კი ჩავიდა, სადაც კვირაში ერთხელ საბანაოთ ჩადიოდნენ ხოლმე და დიზა მაინც ვერსად იპოვნა.

გათენებისას თვითონ დიზაც დაბრუნდა. მთვრალი იყო, ეშინოდა ბევრს მითაქებენ, რომ ასე დავიგვიანეო. თავის სჰილოს ხასიათი იცოდა და ძალიან გაეხარდა, რომ იქაურობა უცვლელათ დახვდა, რომ დანგრეული ვერა დაინახა რა. მივიდა მემამულესთან და თავის გასამართლებლათ თავისებურ ტუილებს მოჰყვა.

ამ დროს მოტი-გეჯი ბინაზე მისულიყო და სამუშაოს ელოდება. იმ ღამეს ისე დაიღალა, ისე მოიქანცა, რომ სამინელ მადაზე იყო.

— აბა ერთი შენს სჰილოს დაუშახე,—უბრძანა მემამულემ.

დიზას ხმის ამოღება და მოტი-გეჯის იქ მისვლა ერთი იყო. სჰილომ სირბილი არ იცის, მაგრამ საკვირველი ჩქარი სიარული შეუძლიან. გაჭენებულ ცხენს რომ გაუყენოთ, არ გაიქცევა. და უკან კი მაინც არ ჩამორჩება.

მოტი-გეჯი მაშინვე თავის ჰატრონს მივარდა, ხორთუმით მოეხვია და ალერსი დაუწყო. ხან ხორთუმს წინ გაიშვერდა და თითქო ჰირში საუკირი უდევსო, სიხარულით უვირილს მორთავდა. ორივენი ტირიდენ სიხარულით, ადამიანიც და ოთხფეხიც, და ერთმანეთს ჰკოცნიდენ და ლოშნიდენ.

— ახლა კი წავიდეთ სამუშაოთ, ჩემო საუნჯევ—უთხრა დიზამ.—შემისვი შენს ძლიერ კისერზე, ჩემო ნეტარებავ.

მოტი-გეჯმა გაუშვირა ხორთუმი და ზედ კისერზე აისროლა თავისი ჰატრონი. მერე გაემართა სამუშაო ადგილისკენ და დაიწყო ფესვების თხრა და ამოგდება.

მემამულე ისე ძალიან გაკვირვებული იყო, რომ დიზას ველარ გაუჯავრდა.

ივ. მ—ანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ ა ტ ა რ ა ს

(გადმოკეთებული)

დექ დილით, ჩემო კარგო,
დაიბანე პირი მალე,
კბილ-ღრძილები დაიდგრიჭე,
სახე სუფთათ შეიმშრალე;
საქოჩრეზე გადაისვი
ხაწაწინავ, სავარცხელი,
თან პირჯვარი გადიწერე
და ადიდე ჩვენი მხსნელი.
ვინც რომ დადის უსუფთაოთ
თმა-ბურძგვნილი, პირ-ბანელა,
იმისთანა ხარმაც ბავშვებს
დასცინიან ჩვენში ყველა.

შ. მდვიმელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანო და ჩიტი



ანოს ძლიერ მოსწონდა ბეღურა ჩიტები. მათი მარდი მოძრაობა, მხიარული სტუნაობა, სიცოცხლით სავსე ჟივ-ჟივი, სერხიანობა, საოცარი ჭკუა და უშიშრობა კიდეც აკვირვებდნენ ვანოსა და კიდეც ასიამოვნებდნენ. ფრთხილი ჩიტებიც მაგრე რიგათ არ ერიდებოდნენ ვანოსა და სხვებზე მეტს ენდობოდნენ. რათა? იმიტომ, რომ უხვი სელი ჰქონდა და ხშირად უყრიდა საკენკსა.

უფრო მეტად შეიყვარა ვანომ ერთი ბეღურა ჩიტი, სხვებზე უფრო ცქვიტი, მარდი, ქოჩორა და ლამაზი. ყოველთვის ცდილობდა, რომ საკენკი ამ ქოჩორასათვის მიემარჯვნა და მეტი საჭმელი ერგუნებინა მისთვის.

ასე გავიდა ზაფხული და შემოდგომა. ბოლოს დადგა ზამთარი; მაგრამ როგორი? ისეთი თოვლიანი და ყინვიანი, რომ მდინარეები მთლად გაიყინა. ჩიტებს საშინლად აწუხებდა ყინვაცა და უსაჭმელობაცა. ვანომ საკენკის ძლევას უმატა; მაგრამ ყინვის წინააღმდეგ კი აბა რას გააწყობდა.

ვანო გულით სწუხდა, როდესაც ხედავდა თავის საყ-

ვარელ ქოჩორა ჩიტსა აბურძგნულსა, გამხდარსა, მობუზულსა და დაღონებულსა. ის საბრალოდ გასჭყიოდა ხრინწიანის ხმით, თითქო სჩივისო: ვაიმე, დედავ, გავიყინეო.

— ეს წუეული ყინვა ამ ჩემს ქოჩორას უთუოდ ფეხებს ააფშეკინებს, თუ მე მას არა ვუშველე-რა, სთქვა ვანომ და დაფიქრდა მასზე, თუ რა ხერხი მოეგონა. გადასწვიტა, დაეჭირა ქოჩორა, ჩაესვა გალიაში, ზამთარში შინა ჭყოლოდა თბილად და მაძღრად და გაზაფხულზე ისევ გაეშვა გარედ მისს ნებაზე.

ამ განზრახვით ვანომ თავისს კარ-მიდამოზე ერთს ალაგას ბლომად დაჭყარა საკენკი, ამ საკენკზე წამოაყირავა ცხრილი, რომელსაც ქვევიდან ჯოხი შეუდგა დასამაგრებლად. ამ ჯოხს ძირში მოაბა ბაწარი, რომლის თავი ხელში დაიჭირა, მოშორდა ცხრილსა და შორი-ახლო ბოძს ამოეფარა.

ლოდინი დიდხანს არ მოუნდა. მარცვლებთან მოფრინდა უველაზე ადრე ჩვენი ნაცნობი ქოჩორა და სარბად დაუწყო კენკა. დამალულმა ვანომ იდროვა და უცებ გამოჰკრა ჯოხს ბაწარი. ცხრილი წამოიქცა და ქვეშ მოიტანა ჩიტუნია. ვანომ მიირბინა, ფრთხილად შეჭყო ხელი ცხრილ ქვეშა, დაიჭირა ჩიტი და გარედ გამოიყვანა. საჩქაროდ შეიყვანა შინა და ჩასვა დამზადებულს გალიაში, სადაც წუალიც დაუდგა და ფეტვის მარცვალიც ბევრი დაუყარა.

ვანო დარწმუნებული იყო, რომ ჩიტი, სიცივესა და

სიმშილს მოშორებული და დაბინავებული თბილისს და სა-ჭმლით სავსე გალიაში, მოიკეთებდა, მოლხინიერდებოდა, მოიმხიარულებდა და ბედნიერად იგრძნობდა თავსა. მაგრამ დახე ვანოს გაოცებასა! ჩიტმა ჰირიც არ დააკარა არც საჭმელსა და არც სასმელსა. საცოდავად მიიუჭა კუნჭულ-ში, მოიბუსა, საშინლად დალონდა და მომაკვდავს დაემს-გავსა.

— იქნება ჩიტუნიას ესამა ეს ახალი მდგომარეობა და მერმე შეეჩვიოსო, იფიქრა ვანომ და იმედი მოიცა. მაგ-რამ არც მეორე დღეს გაეხსნა კრიჭა ჩიტსა, და კიდევ უფ-რო მეტად იტანჯებოდა. ცხადი იყო, რომ ჩიტს გალია თავის საჰერობილედ მიაჩნდა, თავისი თავი ტყვედ და ვა-ნო მტრად, მწვალებლად, რომელმაც თავისუფლება წაარ-თვა და დაატუსაღა. ერთი-ორი დღე რომ კიდევ დასცა-ლებოდა გალიაში, ქოჩორა უთუოდ ფეხებსა ფშეკავდა.

ვანო ამაში სრულიად დარწმუნდა და მესამე დღეს გა-რედ გამოიტანა გალია, შორი-ახლო დასდგა, კარი გაუ-ღო და თითონ მოშორდა.

მიმკვდარებული ჩიტი მაშინვე მოცოცხლდა, გარედ გამოხტა. დაიფთხრიალა და მახლობელ საბძელში ტყვია-სავით შევარდა. აქ მალე მოიბრუნა გული და გაფაციცებით დაუწყო ძებნა ჰურის მარცვლებს ბზეში.

ეტყობა, ჩიტსაც კი ბევრად ურჩევნიან სიმშილი და სიცივე თავისუფლებაში, სითბოსა და სიმაძღრეს მონაობა-ში,—სთქვა გულკეთილმა ვანომ და მას უკან აღარ დაუ-ტყვევებია არც ერთი ჩიტი.

იაკობ გოგებაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოფოს მასწავლებელი

(პოლონიურიდან)

დღე ისე როგორ გავიდოდა, რომ ჰატარა თმა-ხუჭუჭა ფოფოსაგან არ გაეგონათ:

— დედილო, მე დღეს ჰირს არ დავიბან, არა და არა, არ მიყვარს მე ცივი წყალი და რა ვქნა!

— ფოფო მხდალია, ფოფო მხდალია, ფოფოს ცივი წყალისა ეშინია! წამ და უწუმ აჯავრებდენ ფოფოს მისი უფროსი დები.

ფოფოს ეს სიტყვები ძალზე აბრაზებდენ და ხშირათ თვალებზე ცრემლებსაც მოჰგვრიდენ ხოლმე.

ერთხელ მამამ, როცა ფოფო ნამტირალევი დაინახა, ალერსით ხუჭუჭა თმაზე ხელი გადუსვა და ლმობიერათ უთხრა: ჩემო კარგო, აბა რა გატირებს, სხვებმა ათასი ილაჰარაკოს, მე კი დარწმუნებული ვარ, რომ დრო მოვა, ჩემი ფოფო ყველაზე უმალ ჰირს დაიბანს, ცივი წყალის სრულიადაც არ შეეშინდება! არა, ჩემო ფოფო, ჩემო კარგო?

ფოფომ მამას ჰასუხი არ გასცა.

შობის უქმეები მოახლოვდა. ფოფო და მისი დები მამამ ერთის კვირით მიასთან სოფელში წაიყვანა.

მალუა და მისი ორი ბატარა ქალი, მარო და ელო, ისე ალერსიანათ მიეხმატკბილენ ფოფოს და მის დებს, ისე მხიარულათ შეხვდენ ბაწია სტუმრებს, რომ ფოფო სრულიად მოურიდებლათ ერთი ოთახიდან მეორეში თავაზიან მასპინძელ ქალებთან ერთად არხეინათ დაცქრიალებდა.

— დილაობით ხომ ადრე გიყვართ ადგომა!—ალერსიანათ შეეკითხა სტუმრებს მარო.

— რატომ არა,—უპასუხა ფოფომ,—ვარშავაში რვა საათზე ვდგებოდით, აქ კი, თუ საჭირო იქნება, უფრო ადრეც ავდგებით.

— მაშ, ჩემო ფოფო, ხვალ დილა ადრიან ავდგეთ, დავიბანოთ ხირი, ჩავიცვათ-დავიხუროთ და ცისკარზე ეკლესიაში წავიდეთ. ამით ჩვენებს დიდათ ვასიამოვნებთ.

ფოფო გულ-მოდგინეთ და ჩაფიქრებით უსმენდა მაროს.

— ხირის დასაბანი წყალი აქაც ცივია?.. — მოულოდნელათ დაეკითხა ფოფო მაროს.

ბატარა ქალებმა ერთხმათ გულიანათ გადიხარხარეს, რამაც, ცოტა არ იყოს, ფოფო წამოაწითლა.

— ჰოო! ძალიან ცივია, ძალიან ცივი, ისე ცივი, როგორც ყინული!..—უპასუხა მარომ,—მაგრამ სამაგიეროთ ისეთი მარგებელი, რომ ვერ წარმოიდგენ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშ თუ წუალი აქაც ცივია, მე ჰირს არ დავიბან! გაიფიქრა გულში ფოფომ.

მეორე დილით ჰატარა ქალები, თითქო ერთი-მეორეს ეჯიბრებიანო, გაფაცქცებით ჰირს იბანდენ. ფოფო კი ცოტა განზე გამდგარიუო და ამხანაგების ჭივილ-ხივილს მოწიწებით შესცქეროდა.

მარო და ელო ბევრს ეხვეწენ ფოფოს, ბევრს ემუდარენ, მაგრამ ფოფო თავისას მაინც არ იშლიდა, იგი ჰირის დაბანაზე ძალიან უარს ამბობდა.

როცა ძალუამ ფოფოს ამბავი გაიგო, გადასწვიტა, უსათუოთ ფოფო ჰირის დაბანას უნდა შევაჩვიო, უნდა დავარწმუნო იგი, რომ ჰირის დაბანა ყველასათვის აუცილებელი საჭიროებაა.

დილა ადრიან ძალუამ ჩაჰკიდა ხელი ფოფოს და უთხრა:

— ფოფოჯან, წამოდი ჩემთან! და ხელ-ჩაკიდებული წაიყვანა იგი ოთახში, სადაც ფანჯარაზე ჩამოკიდებული იყო რკინის გალია, რომელშიაც არხეინათ დასტოდა ოქროსავით ყვითელი ჰაწაწკინტელა ჩიტი.

— იადონი! იადონი! ერთბაშათ შესძახა ფოფომ და წამსვე გალიასთან მიიჭრა.

გალიას ძალუაც მიუახლოვდა, გააღო ჩიტუნიას სასახლეს ჰატარა კარები და მალხაზ ფრინველს შეუდგა თეფშით წძინდა წუალი.

— ფოფოჯან, ცოტათი უკან ჩამოდეგ!—სთხოვა ძალუამ ფოფოს.

ფოფომ ორი-სამი ნაბიჯი უკან გადმოდგა და იწყო გაფაცქებით თვალ-უურს ადევნებდა იადონის ყოველ მოძრაობას.

იადონმა ცალის თვალით გადმოხედა თეფშში ჩასხმულ ანკარა ცივ წყალს და კოპწია თავი ეშმაკურათ წყალისაკენ გადმოხარა, თითქო ამითი თვისი კმაყოფილება გამოაცხადო. შემდეგ მოხდენილათ ჩამოცოცდა თეფშის ნაპირას. კოპწია თავს ცივ წყალში ჩაჰყოფდა თუ არა, მაშინვე ოქროსავით მოვარაყებულ ქოჩორს ჰაერში არხეინათ შეათამაშებდა ხოლმე.

ფოფო აღტაცებული შეჰყურებდა იადონს და განცვიფრებაში მოდიოდა.

— გენაცვათ, გენაცვათ, იადონი ჰირს იბანს, ჰირსა! რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაჰკიოდა ფოფო.

— ჰირს იბანს კი არა, კიდევაც ბანაობს,—დაუმატა ძალუამ და ლმობიერათ გადახედა ფოფოს.

იადონი ამ დროს სწრაფათ ჩაეშვა თეფშის უფსკრულში, თვალის დახამხამებაში თეფშის ძირს ელვასავით ამოეკლო, მთლათ დასველებული შემოჯდა გალიის მოაჯირზე და ფრთებით ფართხუნი დაიწყო.

ფოფო გაშტერებული შესცქეროდა იადონის ფთხრიალს და გაოცებული გონს ვერ მოსულიყო.

— ჩემო კარგო, ჩემო მშვენიერო, ჩემო ზურმუხტო, ჩემო ნაზო და ლამაზო ჩიტუნიავ!—ბუტბუტებდა სიყვარუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის კილოთი ფოფო,—შენ უთუოთ ისე ნაზი, ისე წვნიანდა და ნარნარი ხარ, როგორც თვით ეს ანკარა წყალი.

— აა! მოგწონს განა, იადონი რომ ცივ და ანკარა წყალში ბანაობს! მოგწონს განა! აბა, ჩემო ფოფო, შენ კი რათ გეზარება დილაობით ცივი წყალით ჰირის ბანა?

ფოფო, თითქო ეს შენიშვნა არ გაუგონიაო, მოწიწებით შეჰყურებდა იადონს, რომელიც ამ დროს თავისი მოხდენილი უვითელი ნისკარტით ფრთებს ისუფთავებდა.

ამის შემდეგ დილით, როცა ბაწია ქალები ჰირის დასაბანათ ოთახში გაექანენ, ფოფო უველაზე უმალ მიიჭრა ჰირის დასაბანათ კისკისითა და სიხარულით ცივ წყალს გამალებით ჰირზე ისხამდა.

— ჩვენი იადონიც ასე ბანაობს, მე კი რა მაზე ნაკლები ვარ,—სითხითით ეხუმრებოდა ფოფო ამხანაგებს და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ბაწია ხელებით წყალს ჰირზე იშხაპუნებდა.

— აკი ვამბობდი, რომ დრო მოვა, როცა ჩემი თმა-ხუჭუჭა უველაზე უმალ ჰირს დაიბანსო,—სთქვა იქვე შორიახლოს მდგომმა გახარებულმა ფოფოს მამამ და თავისი საუვარელი ბატარა გოგონა გულში ჩაიკრა.

ა. ყუმისთაველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურმე და მდინარე

(ჯავახეთში გაგონილი იგავი)

ასაფხულის პირზე გლეხმა ურმით ქალაქს ქირა წაიღო. პატრონს საქონელი პირიანათ ჩააბარა, ფული მიიღო, სახლისთვის იყიდა რაც ეჭირვებოდა, ნავაჭრი ურემზე დაუდო და შინისკენ მხიარულმა გამოსწია.

სოფელს რომ მიუახლოვდა, მდინარე ჭქონდა გასასვლელი. ხიდზე მოვლა ეშორა. ,,ასე პირდაპირ გავალ, უფრო ადრე მივალ, ხიდამდე სადღა ჩავიდეო"—იფიქრა გლეხმა და მოიმარჯვა კოფოზე. ურმის თავის ხარებს სახრე გადაუჭირა, წინა ხარებს შოლტი გაუტყლაშუნა და შეევიდა ფონში. შუა წყალს რომ მიატანა, კაცს თვალები აუჭრელდა, ურემმა ფონს აუხვია და ცალი თვალი ქვაზე შედგა. ნაწვიმევზე ადიდებულმა მდინარემ ასწია ურემი და პირქვე დასცა. ზვირთებმა კაცი შთანთქეს, საქონელი და ნავაჭრიც სადღაც მორევში ჩაღუპეს, დარჩა ცოლ-შვილი უმწეო და ატირებული.

გავიდა კარგა დრო. ობლები რომ წამოიზარდენ დედას ჰკითხეს: ,,დედა, ჰა დედა, ჩვენ მამა გვყავდა?"

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უი თვალებო, ქა რას ამბობთ, მამა როგორ არა გეყვდათ! — უპასუხა დედამ და წუწუნით უამბო შვილებს ქმრის თავგადასავალი.

— მერე ამ ოხერ მდინარეს თუ კი ახლა ხიდი აქვს, მაშინ კი არა ჰქონდა? — შეეკითხა უფროსი შვილი.

— ხიდი როგორ არა ჰქონდა, გენაცვალოს დედა, მაგრამ შინ ეშურებოდა და ხიდზე ალარ მოუარა.

— ახლა რომ აგერ ხუთმეტი წელიწადი მიდის და შინამდე კი ჯერაც არ მოსულა? ის არ ერჩივნა, თუნდ ხუთმეტი საათით გვიან მოსულიყო?..

— ეჰ, რა ვქნათ, შვილო, ალბათ ბედისწერამ უსწრო.

— ბედის წერა რომელია? არ გაგიგონია ანდაზა: — „გზა შორს მოუარე, შინ მშვიდობით მიდიო“.

ი. ს.

ჩვენი გაფცულის სტუმრები

ამთრის ჭრელი ჩიტები აღარა სჩანან, ისევ მთაში ავიდნენ. იჯერეს კი გული ჩვენმა ბავშვებმა!—მთელი ზამთარი კაკანათებით ნადირობდენ. გათბა ჰაერი და სამაგიეროთ ახლა სხვა სტუმრები გვეწვივნენ. შოშია რათა ხანია მოფრინდა, მხიარულათ გვიგალობს, გვილოცავს ბუნების გაღვიძებას. აგერ ლაგლაგიც მარტის ცხრაში მოვიდა. სალხს ამ ფრინველზე ანდაზა გამოუთქვამს: „რვას თუ არა, ცხრას აქ იქნებაო“ და მართლაც, არ ეოფილა მაგალითი, რომ ლაგლაგი მარტის რვას ანუ ცხრას არ გვეწვიოს. ახლა საცაა მერცხალიც გაჩნდება, წეროც მოვა, ოფოფი, გუგული, მწყერი, ბულბული, გვრიტი, მოლაღური, ტოროლა და მრავალი სხვა ჩიტებიც საცაა გვესტუმრებიან. თავიანთ შარშანდელ ბუდეებს მონახვენ, შეაკეთებენ, ან ახალს ააშენებენ. იგალობებენ, იჭიკჭიკებენ, მხიარულებით აავსებენ არე-მარეს, სილს იხილავენ და ჩრდილს იჩრდილავენ. მერე გამოჩეკენ თავიანთ მართვებს, გამოკვებენ, მოაჩიტებენ და დააფრენენ. შემოდგომის სუნი რომ დატრიალდება, სტუმრებს ვეღარა ძალა ვერ გააჩერებს, გამოგვეთხოვებიან და თავიანთ შვილებით ისევ გაფრინდებიან ცხელი ქვეყნებისკენ. რათა აქვსთ ზოგიერთა ფრინველებს ორი საშობლო, ამაზე შემდეგ ვიბაასებთ.

იდიკო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა მეცნიერნი

(ვუძღვნი არჩილ ჯაჯანაშვილს)



ინო, ნინუცი, თუ გიყვარდე ამ წიგნების არევა ნუ იცი! მოდი ყველა წიგნებს ნომრები დავასვათ, რიგზე დავაწყოთ, რაც შეიძლება ვეცადოთ ჩვენი ბიბლიოთეკა შევავსოთ; – ეუბნებოდა თავის დას ეტაჟერკის წინ დაჩოქილი ზურაბი, რომელსაც მთელი წიგნები იატაკზე დაეგროვებინა და მტვერს აცლიდა. – იცი, ნინო, მამიჩემისაგან რაც საჩუქრათ ფული მივიღე, იმითი მაშინვე წიგნები ვიყიდე. თუ შენც ჩემსავით მოიქცევი, მაშინ რამდენიმე წლის შემდეგ კარგი და მდიდარი ბიბლიოთეკა გვექნება.

— მე არ შემიძლიან იმ ფულით წიგნების ყიდვა.

— რატომ, რატომ? მიზეზი მითხარი, შენიჭირიმე, შენ უფრო ადრე არ ჰფიქრობდი ჩვენს ბიბლიოთეკაზე?

— იცი, ზურაბ, ჩვენს სკოლაში ერთი ძალიან ღარიბი ქალია და იმას დავპირდი ვაძლიო ფული, როგორც კი სადმე ვიშოვი, საბრალო უწიგნობის გამო რამდენჯერმე იყო დასჯილი.

ამ დროს ზურაბთან მოვიდა მისი საყვარელი ამხანაგი, გიმნაზიელი რეზო.

— ოჰ! რეზო, რა კარგ დროს მოხვედი, გამარჯობა, წიგნების დალაგებას შენც გვიშველი.

— ეგ კი ადვილია, მაგრამ აბა შენ იანგარიშე, რა ცოტა დრო დაგვრჩენია გამოცდამდის!

– მართლა, სულ ოჩი კვირა-ღაა!

საჩქაროთ დაალაგეს წიგნები და როგორც შეუდგნენ პროგრამის გადაშინჯვას, დავით გამცემლიძეც შემოვიდა შვილების ოთახში.

— ზურაბ, ნინო, წამოდით, შვილო, სადილი მზათ არის.— რეზო, გამარჯობა, შენ კი ვერ დაგინახე, ხომ კარგათა ხარ, ისევ შენებურათ ყოჩაღათა სწავლობ? ბარაქალა, ბარაქალა, ისწავლე, შვილო, ისწავლე და შენი დაჩაგრული დედის გული გაახარე.

დავით გამცემლიძე ნიჭიერი და განათლებული კაცი იყო, რამდენიმე ევროპიული ენა ზედ-მიწევნით იცოდა, თავისი ცხოვრება ისტორიის შესწავლას მოანდომა; ყოველ წელიწადს თითქმის რამდენჯერმე მოგზაურობდა, სადაც კი ძველი მონასტრები ეგულებოდა უნახავი არ დარჩენია.

იმ დღეს სადილათ მოსკოვიდან ჩამოსული არხეოლოგები ჰყავდა, რომელთაც ძალიან ეინტერესებოდათ ქართული ისტორია და ვიდრე სადილი გათავდებოდა, ისტორიულ მასალებზე ჰქონდათ საუბარი. ჩვენი პატარა მოწაფენი სულ-განაბულნი ისმენდნენ დიდების ლაპარაკსა.

სადილს შემდეგ ნინომ უთხრა თავის ძმას და რეზოს: მოდი ერთი ჩვენც შევაგროვოთ ძველი ფულები და წიგნები. საზაფხულოთ რომ წავალთ, რაც ჩვენს სოფელში და მის ახლო-მახლო ძველი მონასტრები და ეკკლესიებია, სულ დავიაროთ.

ზურაბმა და რეზომ ძალიან მოიწონეს ნინოს აზრი.

— ზურაბ, შენიჭირიმე, მაშ ხვალვე შევუდგეთ ამ საქმეზე მომზადებას და ამხანაგებსაც გავუზიაროთ ჩვენი განზრახვა,— სიხარულით სთქვა რეზომ.

ზურაბი და რეზო გიმნაზიის მესამე კლასში სწავლობდნენ, ნინო მეორეში. ვაჟები თითქმის ერთი ხნისანი იყვნენ, ნინო კი უფრო პატარა იყო მათზე.

რეზოს მამა არა ჰყავდა. დედა აცხოვრებდა თავისი შრომით შვილსა და მოხუცებულ დედასაც.

საღამოთი რეზო რომ სახლში მიდიოდა, გზაზე კინტო შეხვდა და, რომელსაც რკინის ჯოხი ეჭირა ხელში.

— ძმობილო, მითხარ, ეგ რა გიჭირავს, ძველებური რამ ხომ არ არის?

— ბებია ჩემის ნაქონი ძველის-ძველი შუბიანი ჯოხია,— უპასუხა კინტომ.

— არ გაჰყიდი?

— რატომა?

— რამდენი მოგცე?

— ერთი მანეთი.

რეზო დიდათ შესწუხდა, რომ ხუთი შაურის მეტი არა ჰქონდა. მაშ მე ახლა ხუთ შაურს მოგცემ, საღამოზე ჩემს სახლში მოიტანე და მანეთათ შეგისრულებ; თავის სახლის ადრესიც აუხსნა. რეზო დიდათ კმაყოფილი დაბრუნდა სახლში, ყველაფერი უამბო დედას და დიდედას, თან სთხოვა: ჩემო ბებო, რაც ძველი დროს რამა გაქვს, მაჩუქეო.

— აბა, გენაცვალოს ჩემი თავი, რეზიკოჯან, მე ერთი დაგლეჯილი ძველი წამოსასხამის მეტი არა მაქვს რა და თუ კი გამოგადგებათ, დიდის სიამოვნებით გაჩუქებ.

მეორე დღეს გიმნაზიაში ნინო გამცემლიძეს გარს შემოხვეოდენ მოწაფე ქალები და ისიც აღტაცებული უამბობდა მათ გუშინდელ განზრახულ საქმეზე და თან ემუდარებოდა ისინიც დაჰხმარებოდენ ახალი საქმის განხორციელებაში, რითაც კი შეიძლებდენ. ერთი ეუბნებოდა: — „იცი, გამცემლიძე, დედაჩემს ისეთი ძველი და დაფლეთილი ფეხსაცმელი აქვს, რომ იმისთანა ძველი მთელ ქვეყანაზე აღარაფერი მოიპოვება, ხვალ უეჭველათ მოგიტან“. მეორე ეუბნებოდა: — „მამაჩემს პაპის დანარჩენი ძველი ახალუხი აქვს და მეც უსათუოთ ხვალ მოგიტან“. მესამესაც ნინოს კაბის კალთისთვის წაევლო ხელი, ეწეოდა თავისკენ და ეუბნებოდა: — „გამცემლიძე, გამცემლიძე, მე უფრო ბევრ ძველ ნაგლეჯებს გიშოვიო“.

„არა, მე უფრო, მე უფრო ბევრს ნაფლეთებს ვუშოვნიო.“ — იმეორებდენ სხვები და ყველა ასე ერთი ხმით ელაზღანდარებოდენ.

ნინომ ამხანაგთა უზომო დაცინვა ველარ აიტანა და ტირილი მორთო; უნდოდა როგორმე გაშორებოდა მათ უსინიდისო დაცინვას, მაგრამ სწავლის დაწყებამდე უკან დასდევდენ და აჯავრებდენ. შემდეგ ნინო თვალ-ცრემლიანი მიუბრუნდა ამხანაგებს და უთხრა: — სირცხვილი თქვენთვის, რომ ამისთანა საინტერესო საქმე სიცილათ არ გყოფნით; ნუ თუ ჩვენი ძველი წარსული ცხოვრება არ გეინტერესებათ? მამა ჩემი იძახის: ის ერი, ის ხალხი, ერათ არ ჩაითვლება, თუ რომ წარსული ცხოვრება არა აქვს, თუ რომ არ უყვართ თავისი სამშობლოს წარსული და ბეჯითათ არ იკვლევენო. მე სულელი დარწმუნებული ვიყავი, რომ თქვენ სიხარულით მომეშველებოდით, ის კი არა თუ თქვენ ყველამ სასაცილოთ ამიგდეთ.—ცხარობდა ნინო და თან თვალებიდან ცრემლები ღაბა-ღუბით ჩამოსდიოდა.

გაკვეთილების გათავების შემდეგ ნინო სახლში რომ წამოვიდა, ელენე ჩიტაძისა დაეწია და ისე გულ-წრფელათ დაუწყო ლაპარაკი, რომ ნინომ ყოველისფერი დაუჯერა.

— ჩემო კარგო ნუცავ, მე შენი აზრი ძალიან მომეწონა და რაკი ახლო ვდგევარ, გაკვეთილების შუა, შესვენების დროს, სახლში გავიქეცი და აი ეს მოვიტანე (ქაღალდში გახვეული გძელი კოლოფი გადასცა), ეს კალამი მეფე ვახტანგ მეექვსისაა და ბიძაჩემისათვის უჩუქებია ერთ იმის ახლო ნათესავს, ისე ძალიანა ვთხოვე ბიძაჩემს, რომ უარი ველარ მითხრა.

ნინო მოვიდა თუ არა სახლში, სიხარულით გახსნა კოლოფი, მაგრამ შიგ მეფე ვახტანგის კალმის მაგივრათ უბრალო ფიჩხის ნამტვრევები კი ელაგა.

ამ დროს ზურაბი და რეზოც ერთათ დაბრუნდენ გიმნაზიიდან. ცრემლ-მორეულმა ნინომ აღელვებით უამბო ძმასა და რეზოს ყოველივე შეურაცხყოფა ამხანაგებისაგან და თან გულ-მო-

სულმა დაუმატა: არა და, ნეტავ ვიცოდე, ვახტანგ მეექვსე რალა მათი ხელ-სახოცი გახდა?!

— ნინო, გულს ნუ გაიტეხ, დამშვიდდი, — უთხრა რეზომ, — ყველას ხომ არ ესმის, რა სასარგებლოა ჩვენი მიზანი. მე უფრო მეტი დაცინვა ავიტანე ჩემი ამხანაგებისაგან და სხვებისაგანაც. ბოლოს რეზომ ისიც უამბო, კინტომ როგორ გამოსტყუა ხუთი შაური უბრალო და გამოუსადეგარ ჯოხში...

ერთ ხანათ ჩვენი პატარა მეცნიერნი ისე გატაცებით და გულმოდგინეთ ემზადებოდენ ეგზამენებისათვის, რომ კაცი იტყოდა სრულიად გადავიწყებიათ თავიანთი მიზანიო. მაგრამ როგორც-კი სანაქებოთ გაუთავდათ ეგზამენები, გახარებულნი ეშურებოდენ სოფლისკენ, სადაც უფრო მომეტებული ენერგიით დაუბრუნდებოდენ თავიანთ დაწყობილ საქმეს.

სოფ. ატენი თავის საუცხოვო ბუნებით განთქმულია მთელ ქართლში. მართალია, ვიწრო ხეობაა, მაგრამ სამაგიეროთ მშვენიერი დაბურული ნაძვის ტყით და ფიჭვნარითაა დამშვენებული მისი მთა და გორა. ზამთარ-ზაფხულ ამ მწვანით შემკულ მთა-გორიდან ჩამოჩხრიალებს მდინარე ტანა — ანკარა მთის წყალი, მუდმივ ყინულივით ცივი და სანაქებო კალმახით სავსე.

ეს სოფელი უწინ ციხე-ქალაქათ ყოფილა, სადაც უცხოვრიათ ქართლის მეფეთ და ეპისკოპოსთ. მეტადრე მეფე დავით მე-IX-ს (1505—24) ძლიერ ჰყვარებია აქ ცხოვრება. 1689 წელს ატენი სპარსებმა ააოხრეს და მას აქეთ ეს მშვენიერი ხეობა ლეკების ყაჩაღთა ბუდე გახდა, საიდანაც მთელ ქართლს მოსვენებას არ აძლევდენ. ირაკლი მეფემ ამოაგდო ეს ბუდე და მას აქეთ ხალხი ისევ დასახლდა. ატენს ჰქონია ვრცელი და მაგარი ციხე. ამ ხეობის არე-მარეში დღესაც ბევრ ნანგრევებს შეხვდება კაცი, ამათში ცხრა ეკკლესია არის დღესაც კარგათ შენახული. შესანიშნავია მეტადრე სიონის მონასტერი დიდ-მშვენიერი და გუმბათიანი, აქამდე კარგათ შენახული. ეს ტაძარი აშენებულია მეათე საუკუნეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაგრატ მესამისაგან. აქვე ტაძრის უკან ეტყობა ნანგრევები სახლებისა, სადაც უცხოვრიათ ეპისკოპოსებს და მათ მოადგილეებს.

თითონ სოფელი მთის კალთებზეა გაშენებული და უფრო მოტვლეპილ კლდეებისაგან შესდგება. სოფლის გარეთ კი უთვალავი ვენახები და ნიგვზის ხეებია.

დავით გამცემლიძის ორ-სართულიანი სახლი მშვენიერს მაღლობზე, კლდიან ალაგს იყო გამოკვანწული. მის ეზოში იდგა ერთათ-ერთი დიდი კაკლის ხე, რომლის ქვეშ მაგიდა და სკამები იყო გამართული. მარჯვნივ გამცემლიძის სახლიდან ძველი სიონის მონასტერი მოჩანდა, მარცხნივ კლდეზე ვრცელი ციხე იყო ამართული. გამცემლიძის სახლსა და სიონს შუა პატარა კოშკი იდგა, სადაც სოფლის პატარა ბიჭები თამაშობდენ ხოლმე. სახლის წინ კალმახით სავსე მდინარე ტანა ჩამორბოდა.

ერთ საღამოს, როდესაც საქონელი ნახირიდან შინ ბრუნდებოდა, ჩვენი პატარა „არხეოლოგები“ სიონიდან მოდიოდენ დატვირთულნი.

— რეზო, აბა კარგათ გამაშინჯე, შენ რა ამოთხარე?

— აი, ნახე, მგონი ბადიაა.

— ნინუცი, შენ რაღა იპოვე?

— მე არ ვიცი, ვერ გამირჩევია რის ნატეხია, ძალიან მძიმე კი არის-და,— უპასუხა ნინუცამ.

— მე კი საღვინე ამოვთხარე, მაგრამ ისე ღრმათ იყო ჩაფლული, რომ საშინლათ დავიღალე თხრის დროს; დახე, დახე ამ ჩემს საღვინეს მგონი ასოებსა ჰგავს, მამაჩვენი ამ ასოებს ადვილათ გაარჩევს და ძალიანაც გაეხარდება,— სიამოვნებით ამბობდა ზურაბი.

პატარა კოშკთან რომ მოატანეს, საშინელი ჟივილ-ხივილის ხმა შემოესმათ. სოფლის ბიჭები ზოგი შიგ კოშკში მოქცეულიყვენ, ზოგი გარედან და ერთმანეთს პატარა კენჭებს ესროდენ. იმ ზომამდის გამწვავებულიყო იმათი ჩხუბი, რომ ზოგს სახეც კი ჰქონდა დაკაწრული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბმა თავისი საღვინე რეზოს გადასცა და საჩქაროდ კუთხეში აიჭრა.

— რა არის, რა ამბავი გაქვსთ, სირცხვილი არ არის, რომ ასე ჩხუბობთ!

— არა, ჩვენ არა ვჩხუბობთ, ომიანობას ვთამაშობთ,— უპასუხეს ბიჭებმა და ყველაზე მოზდილმა გაბრომ ფეხი წინ წამოდგა.

— ომიანობა რა სათამაშოა?— ჰკითხა ზურაბმა.

— იცი, ყმაწვილო, რა გითხრა! – განაგრძო გაბრომ,— ჩვენ ერთი ძალიან, ძალიან მოხუცებული პაპა გვყავს, ამბობენ ას წელიწადზე მეტიაო. ყოველ საღამოს, როგორც კი მუშაობას გავათავებთ, ჩვენ ყველა ბიჭები შემოვუსხდებით ხოლმე გარშემო პაპას და იმდენ ზღაპრებს და სხვა და სხვა ამბავს გვიამბობს, რომ მოშორება აღარ გვინდა ხოლმე. იმას ახსოვს ის დრო, როდესაც ჩვენს სოფელს თურმე უცბათ მტრები დაესხმებოდენ თავსა. აქაურები აი, შიგ იმ ციხეში იმალებოდენ და მოსულ მტერს შიგნიდან იგერებდენ. პაპას ამბის შემდეგ ჩვენი სოფლის ბიჭები შევიყრებით ხოლმე და ძველობანას ვთამაშობთ.

— ეგ ძალიან კარგი, მაგრამ ამ ზომამდის რომ არ იჩხუბოთ და ერთმანეთს სახე არ დააკაწროთ არ იქნება?..

— გესმის, რეზო, ამათთვისაც როგორი საინტერესო ყოფილა ძველი ამბავი!

— ჩემო ზურაბ, ხვალ დილით როგორც ავდგეთ, გაბროს პაპასთან ჩავირბინოთ, ბევრს რასმე საყურადღებოს გვიამბობს.

მეორე დღეს, ჩაის შემდეგ, ცნობის მოყვარე ყმაწვილები სამივე გაბროს პაპის გვერდით ისხდენ მოკეცილნი და გატაცებით ისმენდენ მოხუცის ბაასს, რომელიც ბევრი უბედური და ბედნიერი დროის მომსწრე იყო.

— ეჰ, ჩემო პატარებო!— უამბობდა მოხუცი,— ჩემს ბიჭობაში მართალია ბევრი რამ გადამხედია. უწინ შიშიანობა იყო. ახალციხის საფაშოდან გვიჭირებდენ საქმეს, ბევრი ქალი და რძალი

წაუყვანიათ ტყვეთ, ერთხელ კინალამ მეც წამიყვანეს ლეკებმა, მაგრამ არც თუ ჩვენ ვაკლებდით ი წუნკლებს. მეც კაი ვაჟკაცი ვიყავ, გული მერჯოდა, დავიძახებდით მდევარიო და დავედევნებოდით მტერს, ამას რომ არ ვაჯერებდით, შიგ საფაშოშიაც შევდიოდით.

— აი, ყმაწვილებო, ხომ ხედავთ აიმ ციხეს,—განაგრძო მოხუცმა,—უწინდელ დროში ბევრი შინაური და გარეული მტერი უნახავს და გაუბრუნებია! ძალიან მაგარი და შეუვალი ციხე ყოფილა, მაგრამ ერთხელ თურმე—დიდი ხნის ამბავია—ყიზილბაში მოსულა დიდი ჯარით, ციხე აუღია და ჩვენი მეფის ლუარსაბის ჯალაბობა წაუსხამს, მაგრამ მეფე გორასთან დასწევია მტერს და სულ მტუტა აუდინებია, დიდძალი ალაფი აუღია, მაგრამ დედა კი მაინც ვერ დაუხსნია, შახს წაუყვანია. ჩვენი ბერიკაცები იტყოდენ ხოლმე, ი მეფის დედას შხამი დაულევია და მტერს კი არ წაჰყოლია ცოლათაო.

— აი ვენაცვალე ამათ მადლს,—განაგრძო მოხუცმა და პირჯვარი გადიწერა,—აი გწყალობდეთ სიონი, წმიდა გიორგი და ნათლის-მცემელი, აი მთელი ატენის ხეობა საყდრებით არის სავსე, უწინ აქ ბევრი ხალხი მდგარა, ასე ამბობდენ ქალაქი იყოო. აგერ აი მაღლა მთაზე ძლიერი ხატია, ვენაცვალე იმის მადლს, მლოცავი ძლიერ იცის, მაგის დღეობაც ჩქარა მოვა.—დაათავა მოხუცმა.

სოფელ ატენის ახლო, ხუთ-ექვს ვერსზე, მაღლა მთის წვერზე დგას ერთი პატარა მონასტერი, ამბობენ თამარ დედოფლის აშენებულიაო. იქ ბევრი მლოცველი ხალხი დადის, მიუხედავათ იმისა, რომ ძალიან ვიწრო გზებია და აქეთ-იქით ძლიერ ჩაღრმავებული ხევები ჩასდევს; ცხენს რომ ფეხი გადუცდეს, თქვენი მტერი, ცხენიც და მხედარიც უფსკრულში ჩაიღუპებიან. რაკი ჩვენს პატარა „მეცნიერებს“ წინათაც გაგონილი ჰქონდათ, რომ ბევრი რამ არის იმ მონასტერში ჩაფლულიო და ძალიან ძველი მონასტერიაო, მოხუცის სიტყვამ უფრო გააგულისათ, არც

უგზოობას შეუშინდენ და განიზრახეს უეჭველათ სამივე ერთათ წასულიყვენ იმ მონასტერში.

მართალია, რეზო დედას თავის დღეში არ მოშორებია, და ძალიანაც ეძნელებოდა მთელ ზაფხულს უდედოთ ცხოვრება, მაგრამ რაკი გამცემლიძის შვილებს სიტყვა მისცა, რომ ზაფხულში იმათთან ერთათ ყველგან უნდა ემოგზავრნა, უარი ვეღარ უთხრა. თანაც სულ იმას ცდილობდა, ზაფხული ნაყოფიერათ გაეტარებინა.

27 მკათათვეს, როგორც სადილი გაათავეს, ყმაწვილებმა მაშინვე უჩუმრად მოილაპარაკეს ერთმანეთში, რომ მალე გზას გასდგომოდენ. პატარა „მეცნიერნი“ დარწმუნებულნი იყვენენ, რომ საღამოს ჩაის მოვუსწრობთო, ექვს ვერსს მალე ავირბენთ და ჩამოვირბენთ კიდევაცაო. მართალია სიცხე იყო, მაგრამ მაინც ნინომ ურჩია ძმას და რეზოს პალტოები წამოელოთ, თითონაც შალი გადიკიდა მკლავზე და გაუდგნენ გზას. სოფელს რომ გაშორდენ და აღმართს შეუდგნენ, ნინომ უთხრა თავის თანამგზავრებს: — ღმერთო ჩემო, რა გზა ყოფილა, ფოფხით თუ ავალ, თორემ ისე არ შემიძლიან ასვლა!

— კარგი, მოიტა ხელი, — უთხრა ძმამ ნინოს. შენი ბრალია, რომ ეს პალტო ამკიდე. იმ დღეს მართლაც საშინლად ცხელოდა.

ჩვენი გულ-მოდგინე „მეცნიერნი“ თითქმის ფოფხით ადიოდენ აღმართს და მეტის-მეტათ დაიღალნენ, სულ ოფლში იწურებოდენ. უცბათ მოკრიალებული ცა ღრუბლებით გაივსო.

— ზურაბ, რეზო, მოდი უკან დავბრუნდეთ, თორემ როგორღაც ცუდათ იღრუბლება; ნინომ სიტყვის გათავება ვერც კი მოასწრო, რომ უეცრივ საშინლათ გაიელვა და ქუხილიც მოჰყვა. ნინო ცახცახმა აიტანა, შეშინდა, ზურაბს მიეკრა და ეხვეწებოდა უკან დავბრუნდეთო.

— აბა რას ამბობ, ნინო, — უთხრა რეზომ, — სულ ორი ვერსი-ღა დაგვრჩენია მონასტრამდე, უკან დაბრუნება როგორ იქნება, თუნდ წვიმაც მოვიდეს. ახლა ისე ცხელა, რომ არ გავცივდებით.

კიდევ გაიელვა, დაიქუხა და ისეთი წვიმა წამოვიდა, თითქოს კოკის პირიდან გადმოუშვესო. ნინომ ტირილი დაიწყო.

— აბა ახლა რაღა გვეშველება, ზურაბ, აკი გეუბნებოდი დაგბრუნდეთ-მეთქი!

— აი იმ მუხის ქვეშ შევეფაროთ,—სთქვა ზურაბმა.

— კაცო, რას ამბობ,—წამოიძახა რეზომ,—განა არ იცი, რომ ხე საშინლათ იზიდავს მეხს, და მერე მეხი რომ დაგვეცეს?

რაკი კოკისპირული თავსხმა იყო, ამისათვის პატარა მეცნიერთ მეტი გზა აღარსაით არა ჰქონდათ, სამივე შეიმალნენ ხის ქვეშ. თანდათან ბნელდებოდა, თითქმის ერთმანეთს ძლივს ღა არჩევდენ; ნინო ზურაბს გულში ჩაეკრა და ხმა-მაღლა სტიროდა, ზურაბმაც დის ტანჯვა და მართლა საშიში მდგომარეობა ველარ აიტანა და ორივე გადახვეულნი სტიროდენ. მართალია, რეზიკო წინათ ყველას ამხნევებდა, ამშვიდებდა, მაგრამ ამასაც მოაგონდა თავისი დედა, რომელსაც თითქმის ორი დღითაც არ მოშორებოდა. იფიქრა: რა მეშველება, რომ დედა ველარ ვნახო თავის დღეშიო. ამ ფიქრებს ზედი-ზედ ელვა-ქუხილიც დაერთო და ბავშვის შემკრთალმა ძარღვებმა მეტი ველარ შესძლეს, იმანაც ზურაბს თავი დაადო, გული ამოუჯდა და ქვითინი დაიწყო. სამივეს ტირილში ჩაეძინათ.

მალე გადაიღო და გამოიდარა, მაგრამ ჩვენი მეცნიერნი ისე იყვნენ დაქანცულნი, რომ გათენებამდის არ გაჰღვიძებიათ.

გამცემლიძის სახლში ერთი ალიაქოთი იყო; ახლო-მახლო სოფლელები ყველა ფეხზე დააყენეს, რაკი ბავშვებმა დაიგვიანეს. ბევრის ძებნით დაღალული ოჯახობა აქეთ-იქით წამოწვა და ისე გაათენა. დავით გამცემლიძეს თვალი არ მოუხუჭავს; იმას სულ ის აშინებდა: ვაი თუ უგზო-უკვლო ადგილას ჩაცვივდენ და ვაი თუ ნადირმა მიაგნოსო. როგორც კი ირაჟრაჟა, მაშინვე პირველათ ის მონასტერი მოაგონდა, სადაც ბავშვები იყვნენ წასული. საჩქაროთ ცხენს მოახტა და წავიდა.

დავითი რომ მივიდა მონასტერში, შემდეგი სურათი დაუხვდა: ერთი ბავშვი რაღაცას თხრიდა, მეორე კედელზე დახატულ ძველი სურათის წინ დაჩოქილიყო და ცდილობდა ასოები გაერჩია, მესამეც ძველის-ძველ სახარებას დანით ჟანგს აცლიდა...

მ. დემურია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტი

ცოფიანი ვეფხვივით
გამწარებით მყვირალი,
დაჰქრის ქარი და ჰკივის,
როგორც ქალი მტირალი.
ხან აქ, ხან იქ უწყალოთ
აკვნესარებს ხეებსა,
საბრალო მგზავრს ამ დროსა
მწარეთ უთვლის დღეებსა;
ბარ-ნიჩბით ეხვეტება
და დგამს თოვლის გორებსა,
ხან ცეკვით გაუდგება
ჭალა-მინდვრებს შორებსა.
რა რომ ცეკვა-ბუქნითა
მოიჯერებს მინდვრათ გულს,
მაშინ დაეძგერება
სოფელსა მიძინებულს. —
საღორეში შეძვრება
და ღორებსა აჭყვირებს,
ამით გახარებული
ქოხის კედლებს ატირებს.
ხედავს, ქოხის კარებთან
მოკუნჭულა ბროლია,
სულაც არ ეძინება,
სევდა შემოსწოლია;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტის მეტი სიცივით
საცოდავათ წკმუტუნებს;
ქარი გახარებული
უფრო მეტათ ზუზუნებს.
ქოხში შეიჭვრიტინა,
კერაში ჩაიხედა,
ხედავს, ცეცხლი გუზგუზებს,
გულში თქვა: ვინ გაბედა,
რომ ჩემს მეფობაშია
ცეცხლი დაუნთიათო!
მაგათ ჩემი ამბავი
ჯერ ვერ გაუგიათო!
ახლა მე მათ ვუჩვენებ,
სასაცილო ვინც არი.
ეს სთქვა და ცეცხლისაკენ
მიაშურა ისარი.
მაგრამ რა გამოვიდა:
ცეცხლი უფრო დაინთო!
ქარი გაბრაზიანდა,
გულში ცეცხლი აინთო...
ბრაზიანმა სიმწარით
მოუმატა ბერვასა...
ვერას გახდა და თავი
მიანება კერასა.
ტახტისკენ მიიხედა,
მძინარე კაცი ნახა;
ამას მოვუხერხებო,
გულში თქვა, განიზრახა;
თან ისარი მომართა,
ზე ასწია საბანი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეწუხება კაცისა—
აი მისი საგანი,—
რა წამს კაცსა შეხედა,
შეიკრიბა ძალია,
და ეძგერა მძინარეს,
როგორც ნათესს კალია.
კაცმა გაიშოშმინა,
რა წამს ისარი ეცა,
საბანი ამოიგო
და კვალათ ძილს მიეცა.
ქარი მეტათ გაბრაზდა
და ილესავს ჭანგებსა...
ხედავს, კატა კუნჭულში
უდარაჯებს თაგვებსა.
ეს სადღა წამივაო,
ეს საბრალო ცხოველი,
და თანაც შეიკრიბა
მან ძალ-ღონე ყოველი...
შეუბერა კატასა,
აუბურძგნა ბალანი;
მაგრამ ამაოთ დარჩა
თვისი ღონე-ძალანი;
კატა არც კი გაინძრა,
მისთვის როდი სცალია,
აგერ თაგვი მოძვრება,
მისკენა აქვს თვალია.
ქარი რომ ვერას გახდა,
შეწუხდა და გამწარდა,
ერთი მწარეთ აზუვდა
და ჭოხიდან გავარდა.
ბრაზ-ცეცხლ მოკიდებული
აბრიალებს თვალებსა,
მეტის ძალით გაედვა
თავის ნაცნობ ჭალებსა.

დ. თოფშაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰაერში ფრენა

(ჰაერონავტიკა)

III *)

აფრანგეთში, დაბა ანონეში, მე-XVIII საუკუნის ბოლო წლებში არსებობდა ერთი ქალალდის ფაბრიკა. დირექტორებათ თითონ პატრონები იყვნენ, ორი ძმა ეთენი და ჟოზეფი მონგოლფები. ფაბრიკის საქმე სამაგალითოდ მიჰყავდათ, მაგრამ მონგოლფები უფრო სხვაფრივ იყვნენ გამოჩენილნი. ორივე ძმას მეცნიერულ განვითარებასთან დიდი ხალისი ჰქონდათ ბუნების კანონების კვლევა-ძიებისა. მთელ თავიანთ თავისუფალ დროს ამ მეცნიერებას ანდომებდენ. ეთენი მონგოლფე ამასთან კარგი მათემატიკოსიც იყო და ხელობითაც ხუროთ-მოძღვარი.

ამ ორმა ნიჭიერმა ძმამ, სრულებით შემთხვევით, აღმოაჩინეს ჰაერში ფრენისთვის ნამდვილი გზა და კვალი და აი როგორ: ერთხელ ჩააცივდნენ ღრუბლებს და ცას თვალს აღარ აშორებდნენ. სურათი მართლაც რომ მომხიბლავი იყო, ათას გვარ ფორმის და სახის ღრუბლები, დიდი და პატარა მიდი-მოდიოდნენ დარბაისლათ, ლაჟვარდ ოკეანეში თავისუფლათ დაცურავდენ. სურათის მშვენება მეტის-მეტად გაძლიერდა, როდესაც ჩამავალი მზის სხივები ღრუბელთა გუნდს წაეკიდნენ, შიგ ჩაიმსხვრნენ და ათას ნაირ ფერადებათ შეღებეს, ტურფათ დახატეს.

---

*) ფაქტებით უმთავრესად ვსარგებლობთ საფრანგეთის ცნობილ პოპულიარიზატორის, განსვენებულ ლ. ფიგეს შრომიდან „Les merveilles de la science“, რომელიც რუსულ ენაზედაც არის გამოცემული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჟოზეფ, შენ გაზდას, ერთი ამიხსენ, რა კანონებს ემორჩილება ღრუბელთა მოძრაობა?— უეცრივ ჰკითხა ძმას ეთენიმ და თან ღრუბლებს თვალს არ აშორებდა.

ჟოზეფი ჩაფიქრდა, აიღო-დაიღო, მაგრამ პასუხი ვერა მისცა-რა.

იმავე ღამეს ორივე ძმამ გადასწყვიტეს გამოიკვლიონ, რა კანონს ემორჩილება ღრუბელთა მოძრაობა, ან როგორ ჩნდება და სად ჰქრება ამდენი ღრუბელიო.

თქმა და ასრულება ერთი იყო. მონგოლფიები სიტყვას ბანზე არ ისროდნენ. საშინელ მტკიცე ხასიათთან, ხალისიც დიდი ჰქონდათ მეცნიერულ კვლევა-ძიებისა. ბოლოს იმ დასკვნას დაადგნენ, რომ თვითონვე შეჰქმნეს ღრუბელი, რომლისთვისაც უნდა ედევნებინათ თვალი. ქაღალდის ბუშტი გაავსეს ადუღებული წყალის ორთქლით და ჰაერში აუშვეს; ბუშტი მართლაც ავიდა ჰაერში, მაგრამ მალე ისევ ჩამოეშვა ძირს. რაკი ორთქლი გაცივდა, ბუშტის ჰაერში ფრენა შეუძლებელი-ღა გახდა. ამ მარცხმა გული სულაც არ გაუტეხა ცნობის-მოყვარეობით გატაცებულ ძმებს. მაშინ მოაგონდათ იმ ხანებში კავენდიშის მიერ აღმოჩენილი გაზი წყალმბადი, რომელიც წინანდელ წერილში გვქონდა მოხსენებული. გაავსეს წყალმბადით ქაღალდის ბუშტი, მაგრამ ბუშტი ადგილიდან არც კი დაიძრა—ქაღალდი ვერ იმაგრებს გაზს.

ეთენი და ჟოზეფი ზერა-ქვერად არ უცქეროდნენ საქმეს და ამიტომაც უფრო გაგულისდნენ. 1782 წელს მეცნიერმა ძმებმა მართლაც რომ შესანიშნავად გაიმარჯვეს. შეკერეს დიდი ბუშტი მერდინისა (აბრეშუმის ქსოვილია), ერთი მუჭა ჩალა და მატყლი აანთეს და ამათი ბოლით მერდინის ბუშტი გაავსეს. ორივე ძმა სიხარულით აღტაცებულნი შესცქეროდნენ, როდესაც ბუშტი თავის თავად აფრინდა, ოთახის ჭერს მიეჯახა და მერე მძიმე-მძიმეთ ჩამოეშვა ძირს.

გამარჯვებული მეცნიერნი, რასაკვირველია, უფრო ძლიერ წახალისდნენ, რაღა გააჩერებდა მათ. შეკერეს ოთახის ოდენა დიდი

ბურთი მერდინისა და ახლა გარეთა სცადეს. როდესაც გაავსეს მატყლისა და ჩალის ბოლით, ბურთმა საშინელის ძალით ასწყვიტა თოკები და 150 საჟენის სიმაღლეზე ჰაერში აფრინდა. ცოტა ხანს შემდეგ ნება-ნებად ისევ ძირს დაეშვა.

ამ გვარად, ღრუბელთა მოძრაობის კანონთა ძიებამ სრულებით შემთხვევით უფრო საინტერესო კანონი აღმოაჩინა, ის კანონი, რომლისთვისაც კაცობრიობა ათას წლობით იღვწოდა, ეძებდა და ვერას გახდა.

დიდებულ საქმეს უკვე მეცნიერული საფუძველი დაედო. ეთენი და ჟოზეფ მონგოლფიეთა სახელი ამიერიდან უკვდავი შეიქნა ჰაერონავტიკის მეცნიერებაში.

1783 წელს წახალისებულმა ძმებმა სახალხოთ გაიმეორეს თავიანთი აღმოჩენილი ხერხი, ააშენეს უშველებელი ბურთი, ექვსი საჟენი სიმაღლე. სიმაგრისთვის ორ-პირი შეკერეს — ერთი პირი ბამბის ქსოვილი იყო, მეორე პირი მერდინისა. თიბათვის ოთხს ანონეს მოედანზე ნამდვილი დღესასწაული იყო, აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. დადგეს გახურებული მაყალი, დააყარეს ზედ ნედლი ჩალა და მატყლი, ამათი ბოლი მიუშვეს ბურთის ასავსებლად. ხალხი გაოცებული შესცქეროდა, როდესაც ბურთი მათ თვალ წინ იზრდებოდა, თანდათან რუმბივით იბერებოდა, ერთი წამიც და ბურთი ავარდა ჰაერში, ასცდა ღრუბლებს და ცის ლაჟვარდში ფრინველის ოდენად-ღა მიფრინავდა. თავ-ზარ დაცემული ხალხი დიდხანს არ აშორებდა თვალს — აცა საით წავაო და ზოგი კი ფიქრობდა — ეს მოჩვენება თუ იყოვო; ზოგიც მეორედ მოსვლის ნიშნად სახავდა, შიშით პირჯვარს იწერდა.

ამ ახალმა ამბავმა მთელი საფრანგეთი შესძრა, გააკვირვა, მონგოლფების სახელი ყოველ ოჯახში იხსენიებოდა. ზოგიერთი, ოცნებით გატაცებული, იმასაც კი ფიქრობდა: ახლა კი მოვიცლი მთვარესა და ვარსკვლავებსაო.

ყველა მეცნიერი თავისებურად სჯიდა და ხსნიდა ამ ახალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვლენას. პარიზის სამეცნიერო აკადემიამაც ჯეროვანი ყურადღება მიაქცია და გამოკვლევის ღირსად სცნო. წევრთა შორის უკვდავი მეცნიერი ლავუაზიეც მიემხრო საქმეს. გამართეს ხელისმოწერა, შეაგროვეს საჭირო ფული, რათა თითონაც ეცადნათ მონგოლფიების გამოგონილი ხერხი და თავიანთ თვალით ენახათ, როგორ აფრინდებოდა ცაში „მონგოლფიების ბურთი“.—აშენება ბურთისა შეუკვეთეს ცნობილ ფირმას პარიზში, მეხანიკ ძმებს როზერსებს, ხოლო ხელმძღვანელობა ჩააბარეს პროფესორს შარლს, მაშინ ჯერ ახალგაზდა სწავლულს.

შარლი პირველში ჯერ ვერ მიხვდა, რა გაზით ავსებდენ მონგოლფიები თავიანთ ბურთს, მხოლოდ ის კი შენიშნა, რომ მათი ნახმარი გაზი ჰაერზე ორჯერ მსუბუქი არისო. პროფესორს შარლს აზრათ მოუვიდა: ნუ თუ არ ემჯობინება უფრო მსუბუქი გაზი გამოვნახოთ და იმითი გავავსოთ ბურთიო. მაშინ შარლმა გადასწყვიტა ახალ გამოგონილ გაზით წყალმბადით ესარგებლნა. გოგირდის მჟავა წყალში გააზავა, რკინის ნაქლიბს დაასხა და ამგვარათ მიიღო კავენდიშის გაზი წყალმბადი, რომელიც ჰაერზე 14-ჯერ უფრო მსუბუქია.

27 აგვისტოს პარიზში, მარსის მინდორზე, დანიშნული იყო დღე შარლეს ჰაეროსტატის (ბურთის) აშვებისა. მთელი პარიზი გარეთ გამოცვივდა, დიდძალი ხალხი მოაწყდა საკვირველების სანახავათ. აკადემიის მეცნიერნი და სხვა სწავლული ხალხი ზოგი მრავალ სართულიან სახლების ბანებზე ავიდა, ზოგი სამრეკლოებზე, კოშკებზე და მაღალ ხეებზე, აიტანეს თან დურბინდები, რომ მაღლიდან უკეთესათ ედევნებინათ თვალი: ჰაეროსტატი რა სიმაღლეზე ავიდოდა და რა მიმართულებას მიიღებდა.

ნაშუადღევის საათის ხუთზე, ზარბაზანი გავარდა თუ არა, თოკები, რომელნიც ბურთს იმაგრებდნენ, წამსვე ჩასჭრეს და ჰაეროსტატი საშინელის სისწრაფით გაექანა ზევით. ორ წამს უკან ერთი ვერსის სიმაღლეზე ავარდა, ასცდა ღრუბლებს. ზარბაზანი

მეორეთ გაისროლეს, რითიც ხალხს აცნობეს, რომ ჰაეროსტატი აღარა სჩანსო; ცოტა ხანს შემდეგ შარლეს ბურთი ერთი კი გამოჩნდა, ღრუბლებიდან თავი გამოჰყო, მაგრამ მერე სრულებით გაქრა. ხალხი საშინლად გაოცდა, აღარ მოაშორა თვალი ცის კამარას.

ამ დროს საშინელმა შხაპუნა წვიმამაც დაუშვა, მაგრამ შენც არ მომიკვდე, გატაცებული ხალხი მაინც გაკვირვებული შესცქეროდა ცას, ეგებ ჰაეროსტატი კიდევ გამოჩნდესო. ბევრს მათგანს აღტაცებით უძგერდა გული—„ღმერთო ჩემო, რა გამარჯვებული იქნება კაცი, როცა მაგ ჰაეროსტატით იფრენს და შეუპოვარ სტიქიონს (ჰაერს) დაიმორჩილებსო, ჰაერშიაც გაბატონდებაო“...

ამასობაში ბურთმა სამი ჩარექი საათისა იფრინა, იფრინა, მერე გაზმა (წყალმბადმა) გაპარვა დაიწყო და პარიზიდან 7 ვერსის მანძილზე სოფლის ბოლოს მინდვრათ ჩამოეშვა. ხალხს საშინელი თვალსაზრისი დაეცა, „ციდან ე რა ჩამოვარდაო“ და შეშინებულნი სოფლისკენ გაიქცნენ. მაგრამ როცა დაატყეს, რომ ეგ რაღაც საშინელება ადგილიდან არც კი იძვრისო, გაგულადდნენ, გაფთრებულნი კეტებით მისცვივდნენ, ჯერ კარგა ტყიპეს და ზილეს და როცა გული იჯერეს, მერე შენი მტერი, მას საქმე დამართეს: ძუაზე მოუბეს უხედნელ ცხენს, ცხენი დაფთხა და სულ ლუკმა-ლუკმა დაფლითა საცოდავი ჰაეროსტატი. ამ სასაცილო და სატირელმა ამბავმა, ხალხის სიბნელე-უმეცრებამ, მთავრობამდისაც მიაღწია.

მთავრობამ მაშინვე გაუგზავნა ხალხს დარიგება და ახსნა: რა არის ჰაეროსტატი, რა მასალიდან და როგორ კეთდება და ამასთანავე შიში სულ ტყუილია, არავითარი ვნება ჰაეროსტატს არ შეუძლია მოგიტანოთო.

იდიკო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მელო და ჯიბლიბო

I.

ატარა მელოს ხშირად ამოსდის თვალზე ჯიბლიბო და აწუხებს. თვალს უსივებს და უსისხლიანებს, პირისახეს უუშნოებს, ტანში უგემურად ჰხდის, ცოტა სიცხესაც აძლევს და ხელს უცარავს წერა-კითხვასა და სხვა საქმეებშიაც. ერთს თვალზე რომ მოირჩენს ჯიბლიბოსა, ხშირად მაშინვე მეორე თვალზე ამოუსკუპდება ხოლმე და სწორედ ილაჯს უწყვეტს პატარა გოგონასა.

„ახ, ნეტავი კი მასწავლიდეს ვინმე ჯიბლიბოს წამალსა, და ჩემი მადლით სწორედ ცხონდებაო“, ხშირად ნატრობს მელო. მაგრამ აქამდინ ეს ნატვრა ვერავინ აუსრულა. ზოგნი მელოს კიდეც დასცინიან: უბრალო ჯიბლიბომ აგრე როგორ შეგაწუხა, რომ მისი წამალი ნატვრის თვალად გადაგექცაო.

ტყუილად დასცინიან მელოსა. დასაცინი და სამასხარო აქ არაფერია. ჯიბლიბო აწვალებს მელოსა და წვალების თავიდან მოშორება კი სანატრელია ყველასათვის, დიდისათვისაც და პატარასათვისაც.

მე მწადიან ავუსრულო მელოს ნატვრა და ვასწავლო ჯიბლიბოს წამალი. და ისიც როგორი? იმისთანა უებარი, რომ მას ეს წყეული მუწუკი არას დროს აღარ დაუუშნოებს ლამაზ თვალებსა; იმისთანა უბრალო, რომ არც ექიმის რეცეპტი დასჭირდება, არც აფთიაქში გაგზავნა და არც ფულის დახარჯვა. ეს უებარი წამალი შინა აქვს მელოსა, ყოველ დილით უჭირავს ხელში;

მაგრამ ვაი უცოდინარობასა! აზრადაც არ მოსდის არც შელოს და არც სხვებსა, რომ ეს უბრალო შინაური ნივთიერება უებარი წამალია ჯიბლიბოსი და აქრობს მის სახსენებელსაც კი.

ვიცი, რომ მელოს ეს ჩემი სიტყვები დაუბადებენ მოუთმენელს სურვილს, რომ მე ახლავე, ამ წუთაში, დავუსახელო წამალი და დავამშვიდო; მაგრამ ცოტა მოთმინება უნდა იქონიოს, რადგანაც მე მწადიან არა მარტო წამალი ვასწავლო, არამედ ამასთან, გზა-და-გზა, ცოტაოდენი ცოდნაც შევძინო.

II.

რისაგანა ჩნდება ჯიბლიბო? რა მიზეზი ჩასახამს ხოლმე მას და ზრდის? რად ამოდის იგი თვალებზე და არა ყურებზე, ცხვირზე, ლოყებზე, ტუჩებზე და სხვა პირისახის ასოებზე?..

ჯერ გავიხსენოთ, რომ ჯიბლიბო ამოდის იმ თვალის ნაწილზე, რომელსაც ქუთუთოები ჰქვიან. ჩავუკვირდეთ ქუთუთოების კანსა. ეს კანი არ არის სწორე, გაჭიმული, როგორც ლოყებისა და ცხვირის კანი, არამედ ძლიერ დანაოჭებულია. ნაოჭები მის. დევს სიგანეზე სამ-ოთხ კეცად. ამ ნაოჭების სიღრმე მატულობს, როცა თვალს ვახელთ, და კლებულობს, როცა თვალსა ვხუჭავთ. მაგრამ გასწორებით კი არასოდეს არ სწორდება, და ქუთუთოები მეტ-ნაკლებობით დანაოჭებული რჩება ყოველთვის. ეს კარგად უნდა დავიხსომოთ, რათა ამის მომდევნო აზრები შევიგნოთ.

ჩვენ ვიცით, რომ დედამიწიდან ბევრი მტვერი ადის ჰაერში, მეტადრე მაშინ, როცა ქარი ჰქრის. ეს მტვერი ზოგი ისევ მიწაზე ცვივა, ზოგი მაღლა რჩება, რის გამო ჰაერში ყოველთვის ურევია მტვერი, ხან მეტი, ხან ნაკლები. უმტვეროდ ჰაერი მხოლოდ ზღვაზე მოიპოვება, რადგანაც ზღვას მტვერი ვერ აუვა; მას მხოლოდ ორთქლი ასდის. მტვერი ტრიალებს არა მარტო გარედ ჰაერში, არამედ შინაურშიაც. შინაურს ჰაერში მით უფრო მეტი მტვერი ურევია, რაც უფრო უსუფთაოდ ინახავენ ოთახებსა.

გარეული და შინაური მტვერი დასდის ადამიანსა და ზედა რჩება. რადგანაც ტანი შემოსილი გვაქვს ტანისამოსით, ამის გამო ჩვენს სხეულს მტვერი ვერ ეკარება და რჩება ზეთი ტანისამოსზე. პირისახე კი ტიტველა გვაქვს კაცსა და ქალსა და ამიტომ მისს კანზე დაუბრკოლებლივ ჯდება მტვერი და ზედ რჩება.

პირის კანი სწორეა, როგორც უკვე ვიცით, და ამასთან სქელი. მტვერი მასზე ან ვერა რჩება დიდხანსა, და თუ რჩება, შიგნით ვერ ატანს, ზევიდან ფქვილივით აყრია. საკმარისია პირზე წყალი გადაივლოთ, ან ცხვირსახოცით კარგად მოიწმინდოთ, რომ მტვერი სრულიად ჩამოირეცხოთ, ან ჩამოიწმინდოთ.

მაგრამ ქუთუთოებს კი ამ ღონის-ძიებით ვერ უშველით. მათს დანაოჭებულს კანში ისე ღრმად ჩააკვდება ხოლმე მტვერი, რომ წყლით ვერ ამორეცხავთ; მით უმეტეს ვერას გააწყობთ ცხვირსახოცით. ამის გამო წყლით პირის დაბანის შემდეგ მთელი პირის კანი ჩამოწმენდილი და ჩამოსუფთავებული გვაქვს; მაგრამ ქუთუთოების ძირში კი მტვერი ისევ რჩება და თანდათან ღრმად მიდის ქვევით. წყალი და ოფლი ამ ღრმად ჩასულს მტვერს ასველებს, ჭუჭყად აქცევს და ეს ჭუჭყი ატანს კანში და ჩადის სისხლში. ამ სისხლამდინ ჩასვლას ისიც უადვილებს ჭუჭყსა, რომ ქუთუთოების კანი ბევრად უფრო თხელი და სიფრიფანაა, ვიდრე პირისახისა.

ჩავიდა ძარღვში მტვერი, ჭუჭყად ქცეული. რა ხდება ახლა? ჭუჭყი გზას უკრავს სისხლსა, რომელიც ძარღვებში სდის, აღარ უშვებს წინა, აგუბებს ერთს ადგილას. სისხლი აწვება ამ ნაგუბარს, ჰსჭიკნავს, ჰბერავს ძარღვსა და იძულებულია შესწყვიტოს თავისი მოძრაობა. შეჩერებული და ჭუჭყით ამღვრეული სისხლი ფუჭდება, ჩირქდება და ამობურცდება ხოლმე კანს ზეით მუწუკად, და მაშინ ვამბობთ: ჯიბლიბო ამოგვივიდაო.

მაშასადამე, თუ მელოს უნდა (ჰაი, ჰაი, რომ უნდა!), რომ ჯიბლიბო არას დროს არ ამოუვიდეს თვალზე, მტვერი არ უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიყენოს ქუთუთოებზე და არ უნდა ჩაუშვას კანსა და ძარღვში. მაგრამ საქმე ის არის, რა გზით და როგორ მოახერხოს ესა?

III.

როგორც უკვე ვთქვით, აქ ცხვირსახოციც უძლურია და წყალიც. თუნდა დღეში ორჯელ სამჯერ დაიბანოს პირი, ჭუჭყი მაინც ჩარჩება ქუთუთოებში და გააჩენს ჯიბლიბოსა. მაშ სად უნდა ეძიოს მელოამ ხსნა?

არის ნივთიერება, რომელიც ყველა სახლში მოიპოვება, რომელსაც ყველა კარგად იცნობს და რომელსაც ვერ გაუმაგრდება ვერაგვარი ჭუჭყი, რაც უნდა ღრმად იყოს იგი ჩამკვდარი ადამიანის კანში. ამ ნივთიერებას ჰქვიან... აბა გამოიცანით?.. საპონი.

დიაღ, საპონი არის შეუდარებელი მტერი მტვრისა, ჭუჭყისა. საპნის წყალი უფრო ღრმად მიდის კანში, ვიდრე მტვერი და ჭუჭყი, მაგრა უჭერს მათ თავისს მუხრუჭსა და ძირიან-ფესვიანად ამოაქვს ზევით, რეცხავს ადამიანის ტანსა და ანიჭებს მას სრულს სისუფთავესა.

აქედან ცხადია, თუ რა ღონისძიებას უნდა მიმართოს მელოამ, რათა თავიდან მოიშოროს ჯიბლიბო ერთხელ და სამუდამოდ. მან უნდა ყოველ დღე იბანოს პირისახე კვერცხის ყვითელი საპნით, ან სხვა კარგი საპნით. მეტადრე კარგად უნდა ამოიბანოს ხოლმე საპნის წყლით თვალის ფოსოები და ქუთუთოები. მაშინ მტვერი ვეღარ ჩააკვდება ქუთუთოების კანსა, და ჯიბლიბოც თავისს დღეში აღარ ამოუვა მელოს. საპნის ხმარება სხვა სიკეთესაც შესძღვნის: სუფთა პირისახეზე ძალიან იშვიათად გაუჩნდება მელოს უბრალო ბუსუსიც კი.

მაგრამ განა მარტო მელო უნდა მოიქცეს ასე? არა, ყველანი: საბედოც, კეკეც, ფეფოც, თამროც, სანდროც, ვასოც, მიხაც, ნიკოც, შაქროც, ერთი სიტყვით ყველა ქალი და ვაჟი. მაშინ ჯიბლიბოს ხსენებაც კი სრულად გაწყდება როგორც ქართველ ყმაწვილთა შორის, ისე დიდებშიაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიცი, რომ პირში მახლიან ჩემი პატარა მკითხველები, მაგრამ სუხსა: თუ აგრეა, მაშ როგორა ხდება, რომ გლეხები სრულიად არ იბანენ პირისახეს საპნითა, მაგრამ ჯიბლიბო კი ძალიან იშვიათად ამოსდით მათ თვალებზეო?

ეგ მართალია; მაგრამ აქ სხვა მიზეზი მოქმედებს. გლეხები თავისს სიცოცხლეს სულ გარედ ატარებენ, დილით-საღამოხდინ მუშაობაში არიან გაბმულნი, მათი სხეული ლოკრივით არის გამოსული, მათი კანი მზისა და ქარისაგან ერთი სამად და ოთხად გასქელებული და გამაგრებულია. და ამისთანა სქელსა და მაგარს კანს ვერას გზით ვერ ჩაატანს შიგნით მტვერი და ჭუჭყი და ვერ გაუჩენს ჯიბლიბოსა. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ გლეხებშიაც ბლომად მოიპოვებიან იმისთანანი, რომელთაც თხელი კანი აქვთ ქუთუთოებზე და ამის გამო მათაც ხანდახან ამოსდით ჯიბლიბო.

თვით განათლებულს ადამიანებშიაც ბევრია იმისთანა, რომელიც საპნით პირს არ იბანს, და მაინც ჯიბლიბო არ უჩნდებათ. ეს იმის გამო, რომ მათ ჩამომავლობით დაჰყოლიათ სქელი და მაგარი კანი სხეულისა.

საზოგადოდ, ჯიბლიბო უჩნდებათ მხოლოდ მათ, ვისაც ნაზი და თხელი კანი აქვთ. და რადგანაც ბავშვების და ყმაწვილების კანი უფრო ჩვილია, ამიტომ ჯიბლიბოც მათ უფრო ხშირად ამოსდით თვალებზე, ვიდრე დიდებსა.

ჩვენს მელოსაც ჯიბლიბო იმიტომ გადაეკიდა, რომ პირისახის და თვალების კანი მეტად თხელი და ნაზი აქვს და მტვერი ადვილად ატანს მას შიგნით. ამიტომაც არის საჭირო, რომ მელომ არ დაიზაროს და ყოველ დღე ერთგულად იბანოს პირისახე საპნის წყალითა. - მაშინ მის პირისახეს აღარაოდეს არ დააუშნობს საძაგელი ჯიბლიბო.

შეიძლება მელომ და სხვა ჩემმა პატარა მკითხველებმა იფიქრონ: რა საჭიროა ყოველ დღე საპნის წყლით პირის ბანა? როცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯიბლიბო ამოგვივა, მაშინ ვიხმართ საპონსა და მოვირჩენთო, ასე იფიქრებენ, დიდად შესცდებიან. საპნის ხმარება შეუძლებლად ჰხდის ჯიბლიბოს ამოსვლასა; მაგრამ, თუ დაუდევრობის გამო, ეს მუწუკი თვალზე ამოუვიდა ადამიანსა, საპონი მის მორჩენას ვერ დააჩქარებს. მაშინ მეტი ჯანი არ არის, ადამიანმა უნდა მოითმინოს, მანამ ჯიბლიბო გამოირწყვებოდეს, ან დაცხრებოდეს, და მას უკან მისი ხელ-მეორედ გაჩენა თავიდან აიცილოს პირისახის და თვალების ბანით საპნის წყლით ყოველ დილით, ან საღამოთი. დაუდევრობა აქაც მავნებელია, როგორც ყველა სხვა საქმეში.

„ჯეჯილი“ ბევრს ამისთანა სასარგებლო რამეებს და უფრო უკეთესსაც ასწავლის მელოსაც და ყველა ქართველ ყმაწვილებსაც, ვინც კი მას დაუმეგობრდება და მისი მუყაითი მკითხველი შეიქნება.

იაკობ გოგებაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოსტის მარკები

მარკები პირველათ ინგლისელებმა გამოიგონეს. აი რას გვიამბობს ამაზე ისტორია: 1837 წ. ინგლისის ერთ სოფელში ჩამოვიდა დიდებული მგზავრი და ჩამოხტა ღარიბ სასტუმროში, რადგანაც უკეთესი იმ სოფელში არ იყო. ერთ დღეს მოვიდა ფოსტალიონი და მიუტანა სასტუმროს პატრონ ახალგაზდა ქალს წერილი. ქალმა აიღო, გადაათვალიერა კონვერტი და შემდეგ ჰკითხა მომტანს ფასი ამ წერილისა.

— ორი შილინგი (ერთი მანეთი), — უპასუხა ფოსტალიონმა.

— ეს ძლიერ ბევრია ჩემთვის, — სთქვა ქალმა და დაუბრუნა მომტანს ბარათი. იმანაც გამოართვა და უთხრა:

— თქვენ თუ გეძვირებათ, მე შემიძლია უკან წავიღო, — და ამ სიტყვებით წერილი ჩანთაში ჩასდო.

ამ ლაპარაკს ყურს უგდებდა მგზავრი. მას შეეცოდა ქალი და დააპირა იმ ორი შილინგის გადახდა, მაგრამ ქალმა არა ჰქნა. მგზავრი გაკვირვებული იყო ამ შემთხვევით და როდესაც იპოვნა დრო, გამოჰკითხა ქალს უარის მიზეზი. და აი რა უთხრა დიასახლისმა: ის წერილი ჩემი ძმისა იყო; ისიცა და მეც ძალიან ღარიბები ვართ და არ შეგვიძლია ფოსტის ფასი გადავიხადოთ. ამიტომ ჩვენ მივეცით ერთმანეთს სიტყვა გავიგოთ ამბები იმ ნიშნებით, რომელსაც ჩვენ გარეთ კონვერტზე ვწერთ. მე ახლა მეჭირა ბარათი და ვათვალიერებდი, კონვერტზე კი ამ დროს წავიკითხე ჩვენი ნიშნები, გავიგე ყველაფერი და ამას შემდეგ რაღათ მინდოდა მე ის წერილი?

დიდებული მგზავრი, სახელათ როლანდ გილი, მეორე დღეს გაემგზავრა შინისკენ, მხოლოთ რაც კი ნახა და გაიგო სასტუმროში, ღრმად ჩაიბეჭდა გულში.

რამდენსამე ხანს შემდეგ ინგლისის პარლამენტმა გამოიკვლია ფოსტის ნიხრი – თითო წერილი ღირდა 1 პენსი, 4 კაპიკზე ცოტა მეტი. როლანდ გილს მიანდეს პირველი მარკების გამოცემა და კიდეც გამოსცა 1840 წ.; ინგლისის მაგალითს მიჰყვა საფრანგეთი და 1842 წ. გამოვიდა ფრანგული მარკა, რომელზედაც დახატული იყო ქალის თავი. უნგრეთში პირველათ 1850 წ. გამოსცეს მარკები, რუსეთში 1857 წ. და ყველაზე გვიან შემოიღეს მარკები სათათრეთში—1863 წ.

მარკების შეგროვება პირველათ ბავშვებმა დაიწყეს 1860 წ. ამ ხნიდან აგროვებენ მარკებს და ზოგიერთი ძლიერ გატაცებულია ამ საქმით. მაგალითათ, ყველას ექნება გაგონილი ფილიპპედე-ფერარის სახელი, ამ შესანიშნავი ფილატელისტისა (ფილატელისტი მარკების მომგროვებელ ადამიანსა ჰქვია). ფერარიმ მარკების შეკრება დაიწყო ჯერ ისევ როცა მოსწავლე იყო და აქამდის არ მიუნებებია თავი. მას აქვს შესანიშნავი კოლექცია მარკებისა, რომელიც ას ტომში არ ეტევა. ეს კოლექცია ღირს 22 მილიონ ფრანკზე მეტი (800,000 მან.)

ძნელი საშოვნელი და ამიტომ ძვირია მარკები: 1) წმ. მავრიკიის კუნძულისა (აფრიკაშია). ამისი ყვითელი მარკა ღირს 3500 მან., ლურჯი 2500 მან. 2) ჰავაიის მარკა, რომელზედაც ნახატის მაგიერ დაბეჭდილია ციფრები—3000 მან. 3) გვიანის 1850 წლის მარკა 2500 მან. 4) მალდავიის მარკა რგვალი 1000 მან.

მარკები უფრო ხშირათ ოთხ-კუთხია, მაგრამ შეხვდებით სხვა ფორმისასაც—სამ კუთხიანი, რგვალი. შვენიერი მარკები ამერიკაში იბეჭდება. ხშირათ მარკებზე ბეჭდავენ თავისი შესანიშნავი მუშაკების სურათს. 1892—1893 წ. კოლუმბის იუბილეს მარკები 16 სხვა და სხვა ნაირი სურათით გამოვიდა. მარკა ღირდა 1 ცენტიდან (2 კ.) 5 დოლარამდის (10 მან.) თვითოეული მარკა ნიშნავდა რაიმე ეპიზოდს კოლუმბის ცხოვრებიდან.

ს. ნა—ძი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



პატარა მკითხველების წერილები

ქ. თფილისი.

საყვარელ ჯეჯილის რედაქციაში.

მე ვიყავი ლექციაზე; იქ გვიამბეს ნანსენის და ყინულის ქვეყნის ამბავი; თურმე იქ ყველა ცხოველი თეთრი ყოფილა, თეთრი მელა, თეთრი დათვი და თეთრი ბუ. ჩვენ გვაჩვენეს იმათი სურათები.

მე ძალიან მიყვარს სალდათებით თამაში და ყოველთვის ვთამაშობ ინგლისელების და ბურების ომს; და რადგანაც მე ინგლისელები უფრო მიყვარს, ყოველთვის ბურები მარცხდებიან.

თამარა ნიკოლაძე (7 წლის).

—

ქ. ოზურგეთი.

ჩვენო საყვარელო და დაუვიწყარო რედაქტორო!

მე წავიკითხე „ჯეჯილი“-ს პირველ ნომერში ნეკროლოგი საუკეთესო თანამშრომელის გ. წერეთლის გარდაცვალებისა, რამაც ძლიერ დამაღონა. წავიკითხე აგრეთვე ყველა ამბები, პატარა მოთხრობები და ლექსები იანვრის და თებერვლის ნომრებში.—ყველა ძალიან კარგია, ყველა მომეწონა, მეტადრე: პატარა მეგაზეთე, სიყვარულს რა არ შეუძლიან, სამშობლოს სიყვარული. ლექსი შ. მღეიმელისა და სხვა. მაგრამ საუკეთესოდ კი მიმაჩნია „ჰაერში ფრენა“ და

„საკვირველებანი ბუნებისა“. სასურველია და სრული იმედიცა ვაქვს, რომ საყვარელი „ჯეჯილის“ თანამშრომლები ხშირათ მოგვაწოდებენ სხვა ამგვარ სამეცნიერო წერილებს და ამბებს.

ჯეჯილის მოსიყვარულე მკითხველი მაკარი კანდელაკი (13 წლ.)

—

ქ. თფილისი. საყვარელ ჯეჯილის რედაქტორს.

მე ძალიან მომეწონა თებერვლის ჯეჯილში ყველა მოთხრობები, უმეტესათ „ვაშლის ხე“ და „მარო და მერცხალი“. დიდ მადლობას ვუძღვნი იაკობ გოგებაშვილს და განსაკუთრებით ანასტასია წერეთლისას. იმედია, რომ არ მოგვაკლებთ ამისთანა მოთხრობებს. .

თქვენი ჯეჯილის მკითხველი მარიამ გოგიაშვილი (12 წლ.)

—

ქ. თფილისი. ჩვენო საყვარელო რედაქტორო!

მე წავიკითხე ჯეჯილში, თებერვლის ნომერში, მრავალი მოთხრობები და მათში ყველაზე უფრო მომეწონა მარო და მერცხალი, პასკალის ოჯახი და ნასწავლი ვირი.

მე დიდათ მადლობელი ვარ, რომ ამისთანა ნაშვენიერ მოთხრობებს გვაწოდებთ ჩვენ.

თქვენი მოსიყვარულე ჯეჯილის მკითხველი დავით ელიოზიშვილი (12 წ.)

—

ქ. თფილისი. ჩემო ძვირფასო რედაქტორო!

მე ძალიან მომეწონა თებერვლის ნომერში „მარო და მერცხალი“, „საბრალო სანთლის თავ-გადასავალი“ და „სწავლული ვირი“.

თქვენი მორჩილი გაბრიელ ამბუკაძე (11 წლ.)

—

ქ. თფილისი საყვარელს რედაქტორს.

ჩემო საყვარელო ბატონო რედაქტორო! მე წავიკითხე ჯეჯილი და მომეწონა: კრუხების ბრძოლა ქორთან, საბრალო სანთლის თავ გადასავალი, პასკალის ოჯახი.

თქვენი პატივის-მცემელი დიმიტრი დეკანოზიშვილი (11 წ.)

—

თფილისი.

ძვირფასო რედაქტორო! მე ფრიად მომეწონა თებერვლის ნომერში მოთხრობები „ვერხვი“ და „სამშობლოს სიყვარული“. მეტათ სასიამოვნო იქმნება ამისთანა მოთხრობების კითხვა. მადლობას ვუძღვნი ვაჟა-ფშაველას და პელაგიაშვილს.

არჩილ გულისაშვილი (12 წლ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხალხური ლექსები

(შეკრებილი ზ. ჭიჭინაძისაგან)

თოფმა სთქვა: ჩემსა პატრონსა
ჩემს უკეთესი რა აქვსო?
სამი თხა მოვკალ ისეთი—
თორმეტი ადლი რქა აქვსო!
საცა ქორწილი გაჩნდება—
სულ სანახავათ დააქვთო.

—

გაზაფხულმა წვიმა იცის,
შემოდგომამ კი გვალობა,
მღვდელს საყდარში მოუნდება
წიგნის კითხა და გალობა.

ა ნ დ ა ზ ე ბ ი

(ჩაწერილი სამ. ღონღაძისაგან)

ლხინში ნაბიჯით წადი—ჭირში სირბილით.

ამ ქვეყანაზე მხოლოთ ერთი პატიოსნება ლაპარაკობს ენით.

სიმართლის მკარგველი კაცი -- სიცოცხლეს იდღემოკლებს.

უმამაცესი და უფეხ-მარდესი სიცრუე ვერ გაასწრებს სირბილში პატარა სიმართლეს.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

(წარმოდგენილი მისგანვე)

რადგან ბრძანებთ, მოგახსენებთ
გამოცინას ახლა მეცა:
ვინ იყო, რომ არ ეხილა
ქვეყანა და არცა ზეცა;
უხილავათ ეცნა ღმერთი—
სული წმინდა, მამა ზეცა;
სიხარულით მკრთალი იყო
მაცხოვრისთვის თაყვან ეცა?—

(წარმოდგენილი კ. ფრონისპირელისაგან)

შავია—შავათ დაცოცავს,
შავათ გაავლებს კვალსაო,
ვინც იმას ხელს არ მოჰკიდებს
ძნელათ გადიხდის ვალსაო.

ლ ო გ ო გ რ ი ფ ი

(წარმოდგენილი ს. ბასიშვილისაგან)

მთელი სიტყვა—სახელია ტყის ნადირისა; მოაკელით ერთი ასო წინადან და გამოვა სახელი კაცისა, რომელიც ძველ აღთქმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში იხსენიება. მოაკელით კიდევ ერთი ასო და გამოვა სახელი ქალისა, აგრეთვე ძველ აღთქმაში ხსენებული. თუ კიდევ მოაკლებთ ერთ ასოს, გამოვა სახელი სუნელოვანი ყვავილისა, რომელიც ადრიან გაზაფხულობით მოდის. მოაკელით კიდევ ასო და გამოვა ყოველი ანბანის პირველი ასო.

არითმეტიკული ამოცანა

(წარმოდგენილი მოსწავლე თ. დეკანოსიძისაგან)

დუქანში იდგა სამი ქვევრი: ერთი ათ კოკიანი, მეორე შვიდ კოკიანი და მესამე სამ კოკიანი. ათ კოკიანი სავსე იყო არაყით, დანარჩენები კი ცალიერნი. ორ კაცს უნდოდათ გაეყოთ ერთმანერთში სწორათ ეს არაყი. საწყაო ჰურჭელი სხვა არ მოინახებოდა, თუ არ შვიდ კოკიანი და სამ კოკიანი. როგორ უნდა გაეყოთ?

შ ა რ ა დ ა

(წარმოდგენილი კ. ფრონისპირელისაგან)

პირველი არის ფრინველი,
თავი მიუგავს ხვედასა;
ღამ-ღამობითა დაფრინავს,
მწერებს უტირებს დედასა.
მეორე არის თვისება,
ადამიანში გამჯდარი,
თუ იმას ავყეთ ყოველთვის,
ჩვენი საქმეა წამხდარი.
ექვსი ასოთი დასწერეთ
ორივეს სახელწოდება.
ისეთი სიტყვა გამოვა,
თვალით არ დაინახება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებუსი



ყოველ დღეს საჭმელი





№ II „ჯეჯილისა“:

გამოცანები: 1) ყვერული, 2) გველი.
აკროსტიხი: თებერვალი.
ანაგრამა: სალი, სილა, ლასი.
უკრების ამოცანა: ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა.
რებუსი: ცისკარმან აღმოსავლეთი ვარდისა ფერათ შეღება,
ცას სიხარული მოჰფინა და ქვეყანასა შვენება.

გამოცანები, აკროსტიხი და რებუსი ახსნეს თფილისში — სათ.-აზნ. სკოლის მოწაფემ არჩილ გულისაშვილმა, დ. დეკანოზიშვილმა და დომენტი პაპიძემ დ. ყვირილაში ნორმალურ სასწავლ. პირველ კლასის მოსწავლე აგ. გუნიავამ, გრ. ჩხეიძემ და ალ. ვაშაძემ. ბახვის ორ-კლასიანი სკოლის მოსწავლე სვიმონ ჯანუყვაძემ. აკეთის ორ-კლასიან სასწავდებლის მოსწავლეებმა: პავლე დათუნაიშვილმა, სოლ. ჩხაიძემ, არ. წულაძემ და სამსონ მგელაძემ. ქ. ოზურგეთში მოწაფემ მაკარი კანდელაკმა და იქვე სოფ. ექადიის სკოლის მოსწავლე ანანი სალუქვაძემ გამოიცნეს კიდევ უჯრებში ჩასმული ანდაზა, ხოლო ვერავინ ვერ გამოიცნო ანაგრამა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადი მეთერთმეტე

გამოვა 1900 წელსაც თვეში ერთხელ იმავე ბრო-გრამით, როგორათაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიდებულია თვითლისის სა-ბარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლის სამკითხველოებში საკითხავათ.

ჟურნალი „ჯეჯილი“ თვითლისში დატარებით დირს 4 მან. თვითლისს გარეშე გაგზავნით 5 მან. ცალკე ნო-მერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოთ წლით და ნახე-ვარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) თვითლისში—„წერა-კითხვის გამ. საზოგადოე-ბის“ კანტელარიაში (Дворцовая ул. д. Г'руз. Двор., № 101), და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Арти-ллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса)

თოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*